ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 11 დეკემბერი, №21 (6506)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

„ევროკლუბის საქმიანობა ილიას გზის გაგრძელებაა, მას მხარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდება“

6 ნოემბერს, ყვარელში, ევროკავშირის ელჩმა, კარლ ჰარცელმა „ყვარლის ევროკლუბი – ილიას გზით ევროპაში“ ოფიციალურად გახსნა.

წითელი ლენტი ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა, ახალგაზრდა ევროპელ ელჩთან, ნიკა გურინთან და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერთან, როსტომ სესიაშვილთან ერთად გაჭრა. გახსნის ღონისძიებას აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილეები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დიპლომატიური კორპუსის წევრები ესწრებოდნენ.

„ევროკლუბის“ გახსნის ცერემონიაზე ევროკავშირის ელჩმა – კარლ ჰარცელმა სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „გამარჯობა ყვარელი! ბატონო მერო, ბატონო ორგანიზატორო, ბატონებო და ქალბატონებო, ახალგაზრდა ევროპელო ელჩებო, პატივცემულო საზოგადოებავ, მინდა ვთქვა, რომ ძალიან დიდი პატივია ჩემთვის, რომ დღეს მე აქ მომიწვიეთ. დიდი მადლობა სტუმართმოყვარეობისთვის და ასევე იმ ნიჭისთვის, რაც ბავშვებმა გამოავლინეს საკონცერტო ღონისძიებაზე. როგორც ევროკავშირის ელჩისთვის საქართველოში, ჩემი მთავარი მიზანი არის ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების გამტკიცება. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ არასდროს ყოფილა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა ისეთი მძლავრი, როგორიც დღეს არის. ჩვენ ძალიან ბევრ სფეროში ვთანამშრომლობთ. ეს არის ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები, საგანმანათლებლო რეფორმები, გარემოს დაცვის საკითხები თუ სხვა ბევრი რამ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენს ურთიერთობებში, ეს არის ხალხის ურთიერთკავშირის გაღრმავება. ასეთი კონტაქტების ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის უვიზო მიმოსვლა, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოსთან. კიდევ ის, რომ ჩვენ შეგვიძლია საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობა, სტუდენტების გაცვლითი პროგრამა, ეს არის ერასმუს პლიუსის პროგრამა, რაშიც საქართველო ლიდერობს. ჩვენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გვყავს 5600 ქართველი სტუდენტი, რაც ძალიან დიდი მიღწევაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2000 ევროპელი სტუდენტი და მასწავლებელი მუშაობს და სწავლობს საქართველოს უნივერსიტეტებში.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

ილია მართლის სახელობის გიმნაზია 20 წლის იუბილარია

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ, მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში იბერიის მეფემ ტირდატმა ნეკრესში ეკლესია ააშენა, რომელიც დღემდე ერთ-ერთ უძველეს ტაძრად ითვლება. ხოლო ვახტანგ გორგასლის უძველეს ხანაში ჩამოყალიბდა ნეკრესის ეპარქია, რომელიც იმხანადვე გამოირჩეოდა სულიერი და კულტურული ცხოვრების აღმავლობით.

ითარგმნებოდა საფილოფოსო, საღვთისმეტყველო წიგნები, ზრუნავდნენ ხელნაწერი წიგნების გამრავლებაზეც, რადგანაც მათ ნაკლებობას განიცდიდნენ ეკლესია-მონასტრები. მე-18 საუკუნის ნახევარში ნეკრესის ეპარქიას მართავდა ეპისკოპოსი დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, რომელმაც 1758 წელს თელავის საფილოსოფოსო-საღვთისმეტყველო სკოლა აკურთხა და ეპარქიაში პირველი დაწყებითი სკოლა დააარსა.

ისტორია ამტკიცებს, რომ ნეკრესის ეპარქიის მღვდელმთავრები ოდითგანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საგანმანათლებლო სფეროს განვითარებას.

ჩვენდა სასიხარულოდ, ტრადიცია ახლაც გრძელდება, ღვთის შეწევნით და ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიის მიტროპოლიტის სერგის (ჩეკურიშვილი) ლოცვა-კურთხევით ეპარქიაში რამოდენიმე საგანმანათლებლო ცენტრი ფუნქციონირებს და მათგან ერთ-ერთია ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია.

გიმნაზიის მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ყოველდღიურ რეჟიმში სასულიერო პირებისგან მიიღონ რჩევები, ღვთისთვის სათნო ცხოვრების წესს ეზიარონ და მონახონ პრობლემათა მოგვარების სწორი გზები.

გიმნაზიის დაარსებიდან 20 წელი გავიდა და ეპარქიის ხელმძღვანელობამ ამ თარიღის აღნიშვნა ფართო მასშტაბით გადაწყვიტა.

გიორგობის თვის მიწურულს გიმნაზიის სხდომათა დარბაზში გამართულ საიუბილეო კონცერტს ესწრებოდნენ პედაგოგები, სასულიერო პირები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, გიმნაზიის მოსწავლეები და მათი მშობლები.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში წარუდგინა.

მან ისაუბრა დასრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე, სპორტის და კულტურის განვითარებასა და სხვა იმ პროექტების შესახებ, რომელთა განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის.

ანგარიშის განხილვას საქართველოს პარლამენტის თელავისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი – ირაკლი სესიაშვილი ესწრებოდა.

ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის ანგარიშის ფართომასშტაბიან განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის სოფლების წარმომადგენლები, საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა პედაგოგები, საბიუჯეტო ორგანიზაციების და აიპების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

ალეკო ქაფიანიძე

№1 საბავშო ბაგა-ბაღი საზეიმოდ გაიხსნა

№1 საბავშვო ბაგა – ბაღის შენობას სრული რეაბილიტაცია მიმდინარე წელს ჩაუტარდა. კეთილმოეწყო სასწავლო და საძინებელი ოთახები, სამზარეულო, სველი წერტილები, აღიჭურვა ახალი ინვენტარითა და ავეჯით.

შედეგად, საბავშო ბაღი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და გათვლილია სკოლამდელი ასაკის 100 ბავშვზე. მომავალში იგეგმება ეზოს ინტერიერის კეთილმოწყობა.

ბაღის გახსნას საქართველოს პარლამენტის,თელავის და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საქართველოს პარლამენტის, ლაგოდეხისა და ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ მაჭარაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე ილია ბეგიაშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, მერის მოადგილე გივი ზაუტაშვილი, მერიიის სამსახურის ხელმძღვანელები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელი ზაზა ზაუტაშვილი და თანამშრომლები ესწრებოდნენ.

„ევროკლუბის საქმიანობა ილიას გზის გაგრძელებაა, მას მხარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდება“

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ჩემთვის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და მოხარული ვარ, რომ მეტის გაკეთება შეგვიძლია უახლოეს წლებში ამ მიმართულებით. ევროკლუბის გახსნა არის იმ სივრცის ქონა, სადაც ადამიანებს შეეძლებათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, დისკუსიები სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც მათ აინტერესებთ და აერთიანებთ. მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს იდეა და თვითონ ევროკლუბი ადგილობრივად შეიქმნა. ანუ, ეს ჩვენი იდეა არ ყოფილა, არც ინვესტიცია ჩაგვიდია, ეს ადგილობრივად განხორციელდა. ეს ძალიან კარგია, ვინაიდან იდეა და წამოწყება, რომელიც აქ ვითარდება ძალიან მდგრადია და წარმატებულად ხორციელდება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ჩვენ გვყავს ისეთი ახალგაზრდები, როგორებიც არიან ევროპის ახალგაზრდა ელჩები. ისინი საკუთარი ინიციატივითა და იდეებით უფრო ახლო კონტაქტებს ამყარებენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ეს ინიციატივა ნიკასგან წამოვიდა, რომელიც ძალიან ამაყი უნდა იყოს, რადგან დააფუძნა ევროკლუბი თავის მშობლიურ ქალაქში. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ ეს კლუბი დააფუძნეთ და შექმენით. დიდ მონდომებას იჩენთ, რომ კლუბმა გააგრძელოს მუშაობა.

მინდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გადავუხადო მადლობა.ასევე, „სოკარ ჯორჯია გაზს“ და „ქინძმარაულის“ კორპორაციას იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღეს კლუბის შექმნასა და დაფუძნებაში. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოწვევისთვის, რაც ჩემთვის დიდი პატივია. მინდა, წარმატებები ვუსურვო ნიკას და თითოეულ კლუბის წევრს. დიდი მადლობა ბატონ მერსა და სკოლის ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ ეს სივრცე ევროკლუბს დაეთმო. „

„ყვარლის ევროკლუბი“ არის ახალი სივრცე ახალგაზრდების განათლებისა და განვითარებისთვის, რომელიც ახალგაზრდა ევროპელი ელჩის – ნიკა გურინის ინიციატივით, ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო პროგრამასთან თანამშრომლობით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, „სოკარ ჯორჯია გაზისა“ და კორპორაცია „ქინძმარაულის“ მხარდაჭერით დაფუძნდა. ევროკლუბი ილია ჭავჭავაძის ქალაქ ყვარლის პირველ საჯარო სკოლაში მდებარეობს. ევროკლუბი მისცემს დიდ შესაძლებლობას ახალგაზრდებს ისწავლონ, იმუშაონ ერთად, წაიკითხონ ახალი წიგნები, შეხვდნენ სხვადასხვა სფეროს ექსპერტებს. ეს არის ღია სივრცე ტრენინგებისთვის, ვორქშოფებისა და სხვა სახის შეხვედრებისთვის.

დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა იდეის ავტორმაც, ახალგაზრდა ევროპელმა ელჩმა, ნიკა გურინმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ელჩს ჩამობრძანებისთვის და კლუბის არსებობის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ევროკლუბი ახალგაზრდებისთვის იმუშავებს და უამრავ შესაძლებლობას შესთავაზებს განვითარებისა და განათლებისთვის. ეს იქნება სივრცე, სადაც ადამიანები ძალიან ბევრს ისაუბრებენ როგორც საქართველოს ევროპულ მომავალზე, ისე თავისუფლებაზე, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე. მან მადლობა გადაუხადა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამას დახმარებისთვის. ასევე, სპონსორებს – კორპორაცია „ქინძმარაულს“, რომელსაც მისი თქმით

კლუბის დაფუძნებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, „სოკარ ჯორია გაზსა“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. ნიკა გურინმა ასევე მადლობა გადაუხადა პირველ საჯარო სკოლას ადგილის გამოყოფისთვის, მის დირექტორს, ბელა ოსეფაშვილსა და დირექტორის მოადგილეს ლალი ქაფიანიძეს. ასევე კლუბის კოორდინატორს, ეთერ ხარებაშვილს განსაკუთრებულად გვერდში დგომისთვის. საზოგადოებას, მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ევროკავშირის ელჩს, ჩამობრძანებისთვის და ახალგაზრდების განათლების საჭიროებაზე ისაუბრა. ასევე, მადლობა გადაუხადა კლუბის შექმნის იდეის ავტორს და კლუბს წარმატებები უსურვა.

გახსნის ცერემონიაზე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ დირექტორის მოადგილე, ლალი ქაფიანიძე და კლუბის ადგილობრივი კოორდინატორი, ეთერ ხარებაშვილი. მათ ახალგაზრდების ინერტულობის პრობლემაზე ისაუბრეს და კლუბის არსებობისის საჭიროებას კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი.

ევროკავშირის ელჩმა გახსნის ცერემონიის შემდეგ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზუმი მოინახულა.

ყვარლის „ევროკლუბი“ აქტიურად შეუდგა საქმიანობას.

15 ნოემბერს, ევროკლუბს გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი, ესმა გუმბერიძე ესტუმრა. მან შეხვედრა გამართა კლუბის წევრებთან და მადლობა გადაუხადა კლუბის დაარსებისთვის იდეის ავტორებს. მისი თქმით, მსგავსი პროექტები უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების განვითარებისთვის.

19 ნოემბერს, ყვარლის ევროკლუბმა თანამედროვე ქართველ კლასიკოს მწერალს, ერთ-ერთ უდიდეს ქართველ შემოქმედს, გურამ დოჩანაშვილს უმასპინძლა.

გურამ დოჩანაშვილი შეხვედრამდე ილიას მუზეუმს ესტუმრა. ყვარლის საზოგადოების წარმომადგენლები გულთბილად შეხვდნენ საყვარელ მწერალს ესაუბრნენ მის ნაწარმოებებზე და პერსონაჟებზე . შეხვედრის დასრულებისას, ყვარლის მერის, როსტომ სესიაშვილის განკარგულებით გურამ დოჩანაშვილი ყვარლის საპატიო მოქალაქედ დაჯილდოვდა. როგორც მწერალმა აღნიშნა, ევროკლუბის საქმიანობა ილიას გზის გაგრძელებაა, მას მხარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდება.

24-30 ნოემბერს, ევროკლუბის დამფუძნებელი, ნიკა გურინი ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, სადაც მან კონფერენციის მონაწილეებს ყვარლის ევროკლუბის კონცეფცია წარუდგინა. შეხვედრას სხვადასხვა ქვეყნებიდან ექსპერტები ესწრებოდნენ, მათ შორის ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და სხვა.

ევროკლუბი უახლოეს მომავალში მრავალ საინტერესო შეხვედრას გეგმავს. 10-14 დეკემბერს ყვარლის ევროკლუბი ადამიანის უფლებათა კვირეულს უმასპინძლებს. უკვე გამოცხადებულია ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლის შესახებ ინფორმაციაც კლუბის ფეისბუქ გვერდზეა განთავსეიული (EuroClub Kvareli • ყვარლის ევროკლუბი). 10 დეკემბერს, კლუბი საჯარო ლექციას უმასპინძლებს თემაზე: „ადამიანის ძირითადი უფლებები“. ლექციას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, თამარ გვეტენაძე წარუძღვება, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის მაგისტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი და ქართულ-ევროპული უნივერსიტეტის ლექტორია. იმავე დღეს კლუბის ორგანიზებით ქუჩის კამპანია გაიმართება ადამიანის უფლებებისთვის. 11 დეკემბერს კლუბი სახალხო დამცველის წარმომადგენლებს უმასპინძლებს თემით: „სახალხო დამცველის მანდატი და ბავშვთა უფლებები“. საღამოს კი ფილმის ჩვენება და დისკუსია გაიმართება – „მე, დენიელ ბლეიკი“. 12 დეკემბერს, ევროკლუბი საერთაშორისო გამჭვირვალობის წარმომადგენელს უმასპინძლებს საჯარო ლექციით: „დემოკრატია“. 13 დეკემბერი გამოხატვის თავისუფლებას დაეთმობა ფილმის ჩვენებით: „ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ“, რომელსაც დისკუსია მოჰყვება. 14 დეკემბერს კი ადამიანის უფლებების კვირეული სამოქალაქო განათლების ოლიმპიადით დასრულდება, რომელშიც მონაწილეობას ყვარლის საჯარო სკოლის მოსწავლეები მიიღებენ. 15 დეკემბერს, კლუბის დამფუძნებელი ნიკა გურინი გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ჩავა, სადაც 5 დღიან კონფერენციაზე ყვარლის ევროკლუბის განვითარების გზებზე ისაუბრებს.

წარმატებები ვუსურვოთ „ყვარლის ევროკლუბს“ მომავალ საქმიანობაშიც.

ია გიგიაშვილი

ილია მართლის სახელობის გიმნაზია 20 წლის იუბილარია

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

გიმნაზიის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გახსნა ქალბატონმა მაგული სააკიშვილმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დღე გიმნაზიის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია, ეს არის 20 წლის ისტორია და მისი მონაწილენი ვართ. მაგრამ მეუფე სერგის მიერ გაწეული ღვაწლი შეუფასებელია, რადგანაც თქვენ უზარმაზარი სიძნელეები და დაბრკოლებები დაძლიეთ, რათა ასეთ წარმატებულ მდგომარეობამდე მოვსულიყავით. თქვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ააწყეთ გიმნაზიის ცხოვრება და ერთსულოვან ოჯახად ჩამოგვაყალიბეთ, სადაც დიდი ქართული სული ტრიალებს.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გიმნაზია ნამდვილად არის ის სულიერების სავანე, სადაც ერთმანეთს სინათლის კვალში ვუდგავართ და სადაც ერთი ადამიანის სიხარული ყველას იმედით აღავსებს.

საზეიმო კონცერტი დაიწყო საგალობლებით „მამაო ჩვენო“ და „ჩემო პატრიარქო“, შემდეგ მოჰყვა გიმნაზიის მოსწავლეთა ცეკვები და სიმღერები. ივერია – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ლაგოდეხის დედათა მონასტრის მონაზვნებმა შეასრულეს რევაზ ლაღიძის „თბილისო“ და სიმღერა კინოფილმიდან „კეთილი ადამიანები“.

კონცერტის დასასრულს გიმნაზიის ღვაწლმოსილი, პენსიონერი პედაგოგები: ბელა საგანიძე, მანანა კოჭლამაზაშვილი, ელიზა ათაბეგოვა, ლანი ბეჟანიშვილი, ნინო და ვალერიან ზაალიშვილები, ლია დოლმაზაშვილი, ნუნუ იახტნიშვილი, ნელი ასაბაშვილი, ნინელი ონოფრიშვილი, ელდარ ასაბაშვილი დაჯილდოვდნენ მადლობის სიგელებითა და ბიბლიით.

შთამბეჭდავი იყო გიმნაზიის მოსწავლის ლუკა ბალიაურის სიტყვაში გამოსვლა – გიმნაზია ის ადგილია, რომელიც ყველა ბავშვს ცხოვრებას უფერადებს. ბევრჯერ ვფიქრობ, რომ არსად ასე არ უყვართ აღსაზრდელები, როგორც ჩემს გიმნაზიაში.

ეს დიდი სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის გვერდში დგომა მეუფე სერგისგან (ჩეკურიშვილი) ვისწავლეთ. მისი დანახვა ყველას გვიხარია, რადგანაც პედაგოგების თუ მოსწავლეების სიხარულსა და ტკივილს ითავისებს და ყველას კეთილდღეობაზე ზრუნავს.

ნეკრესის და ჰერეთის ეპარქიას 1997 წლის ნოებრიდან მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი) ხელმძღვანელობს. სამწუხაროდ იმ დროისთვის ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში არც ერთი მონასტერი არ იყო, სასულიერო პირებიც და მოქმედი ეკლესიებიც თითზე ჩამოსათვლელი იყო. მეუფე სერგის ძალისხმევით ეპარქიაში გრანდიოზული აღმშენებლობითი პროცესები განვითარდა, შეიქმნა სამონასტრო კომპლექსები და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკლესიებს.

უამრავი ვიზიტორი ყავს გრემისა და ნეკრესის სამონასტრო კომპლექსებს, ვინაიდან განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა ძირეულად გააუმჯობესეს აქ არსებული არასახარბიელო მდგომარეობა და თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ოციოდე წლის წინათ ლაგოდეხში მხოლოდ ერთი მოქმედი ეკლესია იყო, დღეს კი ლაგოდეხში არის საკათედრო ტაძარი, სოფელ ჭაბუკიანში დედათა მონასტერი, წმინდა ნიკოლოზისა და სამების ტაძრები, მოქმედია ასევე თელის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, სოფელ გიორგეთშიც არის ტაძარი, სოფელ ლელიანში წმინდა თეოდორეს სახელობის საყდარია, ხოლო სოფელ კართუბანში დამთავრების პროცესშია ახალი ტაძრის მშენებლობა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში, ხოლო ჰერეთში (საინგილოში) ოთხი მოქმედი ეკლესიაა.

ნეკრესის და ჰერეთის ეპარქიის მრევლისათვის უდიდესი ბედნიერებაა ჰყავდეს ისეთი სულიერი ხელმძღვანელი, როგორიცაა მეუფე სერგი (ჩეკურიშვილი). გონიერი ადამიანები ხედავენ საეკლესიო ცხოვრების აღმავლობას, რელიგიური ტრადიციების აღდგენას, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე ჯანსაღ პროცესებს, ეკლესიებისა და სამონასტრო კომპლექსების რეაბილიტაცია-გამშვენიერებას და ემადლიერებიან ეპარქიის ხელმძღვანელს.

უფალს შევთხოვთ დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი სულიერი მამა და ეპარქიის ხელმძღვანელი.

ალექსანდრე გიგილოშვილი

12 დეკემბერი წმიდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის (VI) ხსენების დღეა

წმიდა მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენების დღე 12 დეკემბერია. ამ დღეს ნეკრესში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან უამრავი მომლოცველი იკრიბება და წმიდანს შემწეობას სთხოვენ.

წმიდა აბიბოს ნეკრესელი, საქართველოში ჩამოვიდა VI საუკუნეში ცამეტ ასურელ მამასთან ერთად. ისინი უშუალოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა და გამოაგზავნა. მათ ცხოვრებაში სწერია, რომ ისინი იყვნენ „ღმრთისა სათნონი ნათელნი სოფლისანნი, ჭურნი რჩეულნი სავსენი ნელსაცხებელითა, ზეცისა კაცნი და ქუეყანისა ანგელოზნი, განმანათლებელნი სოფლისანნი, სახენი, წესნი და კანონნი უცთომელნი მონოზონებისანნი“ და მათ შორის წმიდა აბიბოს ნეკრესელი, „მღვდელთმოძღუარი უბიწოჲ, ნაყოფი შუენიერი, მხიარულებისა ჩუენდა მომღებელი და სულნელებისა ჩუენისა ჩუენდა მომფენელი. სანთელი მაღლად მნთებარე, მნათობი და განმანათლებელი ყოველთა მხილველთა მისთაჲ, შემწირველი უბიწოდ ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რომელმან თავიცა თჳსი შეწირა მსხუერპლად მისსა მიმართ ჴელითა უსჯულოჲსა მარზპანისაჲთა“.

წავიდა მამა თავიდან ღირს იოანესთან და სხვა ძმებთან ერთად ზადენის მთაზე. შემდგომ კი ევლავიოს კათოლიკოსის და იოანე ზედაზნელის კურთხევით წმიდა აბიბოსი ნეკრესს ჩავიდა და მოციქულებრივ ღვაწლს შეუდგა. მადლმოსილი მსახურებისთვის წმიდა აბიბოსი „იქმნა... ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მჴრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი“, – წერს ვახუშტი ბაგრატიონი „ქართლის ცხოვრებაში“.

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ და ყველა ძალას ხმარობდნენ თავიანთი ცრუ სარწმუნოების გასავრცელებლად. მათ მრავალგან ააგეს ბომონები, სადაც ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი. მაზდეანები ზარ-ზეიმით აღასრულებდნენ თავიანთ ბოროტ წესებს და ქართველთა გადადრეკას ცდილობდნენ.

წმიდა აბიბოს ნეკრესელი დაუღალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში, ჭეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს და სიმტკიცისკენ მოუწოდებდა. ერთხელ წმიდა მღვდელმთავარმა ნახა, რომ მოგვები აიძულებდნენ ქართველებს, თაყვანი ეცათ ცეცხლისთვის, ვეღარ მოითმინა ბოროტება, წყალი დაასხა ცეცხლს და ჩააქრო. განრისხებულმა მოგვებმა შეიპყრეს წმიდა აბიბოსი, სასტიკად სცემეს და ცოცხალმკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. შემდგომ ეს ამბავი აცნობეს სპარსეთის მარზპანს, რომელიც ამ დროს სოფელ რეხში იმყოფებოდა. მარზპანმა ბრძანა, მისთვის მიეგვარათ წმიდა აბიბოსი.

წმიდა აბიბოსი შავმთელი სასნაულთმოქმედის, ღირსი მამის სვიმონ მესვეტის (ხს. 1 სექტემბერს) მეგობარი იყო. ღჲრს სვიმონს ღმრთისგან ეუწყა წმიდა აბიბოსის მომავალი წამების შესახებ და ეპისტოლე, ევლოგია და კვერთხი გამოუგზავნა წმიდა მამას. სოფელ იალდოს მიღნეულ აბიბოსს ანტიოქიიდან წამოსული მოციქული შემოხვდა და ღირსი სვიმეონის საჩუქარი გადასცა.

ეპისტოლემ და ძვირფასმა საჩუქარმა გაახარა და განამტკიცა ტანჯვისთვის განმზადებული წმიდა მღვდელმთავარი. გზად მას ქართველები დახვდნენ და განთავისუფლების იდეა შესთავაზეს. წმიდა აბიბოსმა არ მიიღო წინადადება.

მღვდელმოწამემ მტარვალებს სთხოვა, წმიდა შიო მღვიმელის ნახვის უფლება მიეცათ მისთვის. სპარსელები დათანხმდნენ. წმიდა მამებმა მოიკითხეს ერთმანეთი და ერთად ილოცეს. შემდეგ წმიდა ეპისკოპოსმა სასნაულთმოქმედ მეუდაბნოეს სთხოვა, ელოცა მისთვის. წმიდა შიომ უთხრა: „ვიცი, მამაო მფლობელო, რამეთუ დაშრიტე ცეცხლი იგი მათი სრულიად, რომელსა ესვიდეს უსჯულონი იგი, არამედ მოგმადღენ უფალმან, რაჲთა აღტყინებულიცა იგი უჩინოჲ ცეცხლი, რომელ აღუზნიეს შენთჳს ეშმაკსა განსაცდელად, დაშრიტო ადვილად... უწყოდე, რამეთუ ჭირი მათი შენ დიდება გექმნეს წარუვალი და ჭირი ეგე შენი მათ დაცემა და განბნევა“... მღვდელმოწამე რეხში ჩაიყვანეს.

მარზპანმა მრისხანედ ჰკითხა სამსჯავროზე წარმდგარ წმიდა ეპისკოპოსს: „რაჲსათჳს უვარ-ჰყავ უფლებაჲ მეფეთ-მეფისაჲ და მოჰკალ ღმერთი ჩუენი?“ წმიდა აბიბოსმა მშვიდად მიუგო: „მე არავინ ვიცი მეუფედ, გარნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ხოლო ცეცხლი იგი, რომელ დავშრიტე, რაჲთამცა საცთური განვაქარვე ეშმაკისაჲ. ხოლო გლოცავ, რაჲთა განეყენენთ უნდოსა მას მსახურებასა და მას მხოლოსა ჰმსახურებდეთ“. კადნიერი პასუხით გაგულისებულმა მარზპანმა კვლავ ჰკითხა: „მე გკითხავ, რაჲსათჳს მოჰკალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებავს, რაჲთამცა შენისა ღმრთისა წარგჳყვანნე?“ ნეტარმა აბიბოსმა კვლავ მშვიდად მიუგო: მე ღმერთი კი არ მომიკლავს, მხოლოდ ცეცხლი დავშრიტე. ცეცხლი ღმერთი კი არ არის, ბუნების ნაწილია, ცეცხლი შეშის დაწვით წარმოიქმნება, მცირედმა წყალმა ჩააქრო, რადგან წყალი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მოკლა იგი. „აწ მიკჳრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხჳლ გიჩნს მისი სახელის დებად ღმრთად, რომელსა ესეოდენი სული აქუს?“ მარზპანი საშინლად განარისხა წმიდა მღვდელმთავრის ასეთმა პასუხმა და მისი წამება ბრძანა.

ჯალათებმა საშინლად ტანჯეს ნეტარი აბიბოსი და ბოლოს „ქვითა განტვინეს“. მისი წმიდა ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, უპატიოდ დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა საჯიჯგნად და მცველები მიუჩინეს, რომ ქრისტიანთაგან არავის წაესვენებინა და პატივით არ დაეფლა წმიდანის ნეშტი.

ღამით რეხის მღვდლები და ბერები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმოწამის ცხედარი სამთავისის მონასტერში. ქართლის ერისთავის, სტეფანოზის დროს წმიდა მღვდელმოწამის უხრწნელი ნაწილები სამთავსიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენეს და დაკრძალეს წმიდა ტრაპეზის ქვეშ.

წყარო:orthodoxy.ge

17 დეკემბერს ბარბაროზაა

17 დეკემბერს (ძვ.სტ. 4დეკემბერს) მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ხსენებას აღნიშნავს.

ქალწულმოწამე ბარბარე მესამე საუკუნის მეორე ნახევარში ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში (სირიის ტერიტორია) მდიდარ, წარმართულ ოჯახში დაიბადა. ბარბარეს დედა მალე გარდაეცვალა და ერთადერთ ასულს მამა დიდი რუდუნებით ზრდიდა. მან მდიდრული კოშკი აუგო და ადამიანებისგან მოშორებულს იქ აცხოვრებდა, მასთან შესვლის უფლებას კი მხოლოდ წარმართ მასწავლებლებს აძლევდა. კოშკში დამწყვდეულ ბარბარეს კერპთაყვანისცემას ჩააგონებდნენ, მაგრამ იგი ხვდებოდა, რომ ადამიანის ხელით გაკეთებული უსულო კერპები სამყაროს ვერ შექმნიდნენ. ის რაც ადამიანის მიერ იყო დამზადებული, ვერ შექმნიდა სიცოცხლეს, ვერ შექმნიდა მოწესრიგებულ სამყაროს. სამყაროსა და სიცოცხლის საწყისის ძიებაში ბარბარე დარწმუნდა რომ კერპები ვერ იქნებოდნენ სიცოცხლის მიმნიჭებლები, იგი გრძნობდა, რომ შემქმნელი ამ არაჩვეულებრივი მშვენიერებისა უნდა ყოფილიყო ყოვლისშემძლე არსება, რომელსაც ვერავინ აღემატებოდა სიბრძნით, სიკეთით, და სათნოებით. მის ფიქრებს უფრო მეტად ამყარებდა თვალწარმტაცი გარემო, სადაც იგი ცხოვრობდა, ულამაზესი ბუნება მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, ღამით კი მთვარისა და ვარსკვლავების ცქერა არწმუნებდა ყოვლისშემძლე, გონიერი ღმერთის არსებობაში. მართალია მას მრავალ ღმერთიანობას ასწავლიდნენ და არ ჰყავდა ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ უქადაგებდა, მაგრამ სინდისი, რომელიც ყოველ ადამიანში არის ღვთს ხმა, ჰკარნახობდა რომ წარმართობაში არ იყო მის კითხვებზე პასუხი და ის სხვაგან უნდა ეძია.

ქალწული თანდათან ივსებოდა უფლის მადლით და სულიერად ძლიერდებოდა, მის გულში ერთი სიყვარული ენთო, ჭეშმარიტი სიყვარული – უფლის სიყვარული, და არ ფიქრობდა მიწიერ კეთილდღეობაზე. დიოსკორეს ძალიან უნდოდა ქალიშვილის გათხოვება; წმინდა ბარბარეს მშვენიერების შესახებ ქალაქში ხმა გავრცელდა და უამრავი ჭაბუკი გამოჩნდა მისი ხელის მაძიებელი. დიოსკორემ ასულს შესთავაზა, მთხოვნელთა შორის თავად აერჩია გულისსწორი, რაზეც წმინდანმა მიუგო: „არა გიცნობიესა მამაო, რამეთუ არად სახმარ არს ჩემდა სოფელი ესე“.

ბარბარესაგან მტკიცე უარი რომ მიიღო, მამამ გადაწყვიტა მისთვის შედარებით მეტი თავისუფლება მიეცა, იმ იმედით, რომ უცხო ადამიანებისა და მათი ცხოვრების წესის გაცნობის შემდეგ იგი თვითონ მოინდომებდა გათხოვებას. ბარბარემ მოპოვებული თავისუფლება სათანადოდ გამოიყენა: ის დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ქრისტიან ქალწულებს, გაეცნო ქრისტიანობას და იწამა მისი ჭეშმარიტება.

ქრისტეს მაძიებლებს უფალი მარტოს არასდროს ტოვებს: ბარბარეს მონათვლის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ წარმართულ ილიოპოლისში მღვდელმსახური არ იყო, სწორედ ამდროს, ღვთის განგებით, ქალაქში ჩამოვიდა ალექსანდრიელი ხუცესი, რომლის ხელითაც ბარბარე მოინათლა.

ამის შემდეგ ბარბარე მუდამჟამ მარხვასა და ლოცვაში იყო, მან სიწმიდისა და ქალწულობის აღთქმა დადო და ღმერთს შესწირა თავი. ნათლობიდან მოყოლებული, მისი ცხოვრება გამორჩეულია მრავალი სასწაულით. ერთხელ ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც მამამისის ბრძანებით აბანოს აშენებდნენ. წმინდანმა აბანოს მარმარილოთი მოპირკეთებულ შესასვლელში თითით ჯვარი გამოსახა, ქვის საფეხურზე კი მისი ტერფის ანაბეჭდი ამოიკვეთა, საიდანაც წყარომ ამოხეთქა და შემდგომში მრავალი სასწაულებრივი კურნება აღასრულა. წმინდა სვიმეონ მეტაფრასი ამ ადგილს მდინარე იორდანესა და სილოამის საბანელს ადარებს, რადგან აქაც ღვთის მადლითა და წყალობით მრავალი კურნება აღესრულებოდა. დიოსკორეს ბრძანების მიხედვით, აბანოს ორი სარკმელი უნდა ჰქონოდა – მზისა და მთვარის ნიშნად, ბარბარემ კი მშენებლებს მესამე სარკმლის გამოჭრაც სთხოვა, ნიშნად წმინდა სამებისა, რათა ადამიანის ნახელავში ღმერთის სამპიროვნება აღბეჭდილიყო. მათ თავდაპირველად უარი უთხრეს, რადგან დიოსკორესი ეშინოდათ, თუმცა ბარბარეს დაჟინებული თხოვნა მაინც გაითვალისწინეს და სამი სარკმელი გამოჭრეს. როდესაც დიოსკორემ ეს იხილა, ბარბარეს ჰკითხა სამი სარკმლის გაკეთების მიზეზი. ქალწულმა მიუგო, რომ სამი სარკმელი ყოვლადწმინდა სამების განსადიდებლად გააკეთებინა და უშიშრად გააცხადა ქრისტიანობა. განრისხებულმა დიოსკორემ თავის მოკვეთა დაუპირა, მაგრამ ბარბარე გაერიდა, მთაში გაიქცა და გამოქვაბულში დაიმალა. იქვე ახლოს ორი მწყემსი იყო და ერთერთმა მათგანმა გასცა ბარბარეს ადგილსამყოფელი. დიოსკორემ შეიპყრო საკუთარი შვილი, სასტიკად გვემა და ქალაქის მმართველს მიჰგვარა. გადმოცემის თანახმად, მეცხვარე, რომელმაც ბარბარე გამძვინვარებულ მამას ჩაუგდო ხელში, მეყვსეულად დაისაჯა – საკუთარ ცხვრის ფარასთან ერთად გაქვავდა.

ბარბარემ მმართველ მარკიანეს წინაშეც უშიშრად აღიარა ქრისტიანობა და თვით მმართველსაც უქადაგა კერპების ამაოება და ცრუღმერთობა. ქრისტეს ერთგული მხევალი სასტიკად გვემეს და საპყრობილეში დაამწყვდიეს. მისი სხეული იმდენად იყო დაწყლულებული, რომ ფიქრობდნენ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, მაგრამ სხვაგვარი იყო ღვთის ნება. ქალწულმოწამე ლოცულობდა და უფალს ევედრებოდა არ მიეტოვებინა, მოხდა სასწაული და მას თავად მაცხოვარი გამოეცხადა, გაამხნევა და სასწაულებრივად განკურნა წყლულებისგან. მცველებმა, რომლებმაც განკურნებული ბარბარე იხილეს, მარკიანეს წინაშე ახოვნად აღიარეს ქრისტეს ჭეშმარიტი ღმერთობა, სიკვდილით დასჯას სიხარულით შეხვდნენ და მოწამეობრივი აღსასრულით ზეციური, საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდრეს.

ბარბარეს სასწაულებრივი განკურნება მარკიანემ კერპების ძალასა და გულმოწყალებას მიაწერა და კვლავაც მოუწოდებდა, მსხვერპლი შეეწირა მათთვის, რაზეც ქრისტესათვის წამებული მხევალისგან თანხმობა ვერ მიიღო. გამძვინვარებულმა მარკიანემ კვლავ ბრძანა მისი წამება. ხალხის უზარმაზარი ბრბო მშვიდად ადევნებდა თვალს ამ უმსგავსობას და არ ეწინააღმდეგებოდა მას. მხოლოდ ერთი კეთილმსახური დედაკაცი, სახელად იულიანა, რომელიც ხედავდა წმინდა ბარბარეს სასტიკ წამებას, წუხდა და მწარედ ტიროდა. იგი მივიდა მმართველთან და უსამართლობასა და სისასტიკეში ამხილა. განრისხებულმა მარკიანემ ჰკითხა, თუ რომელ სარწმუნოებას აღიარებდა იგი. მე ქრისტიანი ვარ – უშიშრად უპასუხა წმინდა იულიანამ. მაშინ მარკიანემ მისი წმინდა ბარბარესთან ერთად წამება ბრძანა.

გულმოწყალე უფალმა განამტკიცა თავის წმინდა მოწამენი და მათაც სიხარულით დაითმინეს სასტიკი სატანჯველნი.

იხილა რა მათი ვაჟკაცური მხნეობა და მოთმინება, მარკიანე მეტად განრისხდა და წმინდა იულიანას ბნელ დილეგში ჩაგდება, ხოლო წმინდა ბარბარეს გაშიშვლება და ქალაქში ასე ჩამოტარება ბრძანა. მაგრამ უფალმა არ დაუშვა ერთგული მხევლის შერცხვენა და წარმოგზავნა ანგელოზი, რომელმაც სპეტაკი სამოსით დაფარა დიდმოწამის სხეული. მთელი ქალაქი გამოეფინა შიშველი ქალწულის სანახავად, მაგრამ მისი სიშიშვლე ვერ იხილა. მარკიანე მიხვდა, რომ სატანჯველმა არაფერი ავნო წმინდა მოწამეებს, და შეეშინდა, რომ ამის მნახველი მრავალი მოქალაქე მოიქცეოდა ქრისტეს სჯულზე. მან წმინდა იულიანას თავის მოკვეთა ერთ-ერთ მეომარს დაავალა, ხოლო წმინდა ბარბარეს დასასჯელად კი მამამისი დიოსკორე გამოიძახა და უბრძანა, რომ გაეყვანა ქალიშვილი ქალაქგარეთ და მისთვის თავი მოეკვეთა. წმიდა ქალწულმა სიკვდილით დასჯის წინ შესთხოვა მამას, უკანასკნელად გაეწია ანგარიში ერთადერთი ასულისათვის და მცირე ხნით ლოცვა-ვედრების საშუალება მიეცა. უსჯულო დიოსკორემ კიცხვით მიუგო: „რაჲ ხარ შენ? ანუ ვინ არს ღმერთი შენი? უხმობდ რაზომ შემძლებელ ხარ, რაჲთა ვიხილო უკუეთუ მოვიდეს დღეს და გიხსნეს შენ ხელთაგან ჩემთა“. მაშინ წმიდა ბარბარემ ზეცისაკენ აღაპყრო ხელები და თქვა: „უფალო, ღმერთო ჩემო, ისმინე ჩემი და როგორც მომეცი მოთმინება და ღირს მყავ წამებისა, ასევე შეიწყნარე ჩემი სული და დაადგინე შენს სათნომყოფელებთან ერთად. უფალო, მოხედე სიმდაბლესა ჩემსა და მადლი მიეცი ჩემი სხეულის ნაწილებს, რომ ყოველმა კაცმა, რომელიც სარწმუნოებით შეხედავს ან შეეხება, მიიღოს მადლი, კურთხევა და ცოდვათა შენდობა, ხოლო თუ ვინმე გასაჭირში იყოს და მე გამიხსენოს ან მოიხსენოს ჩემი წამების ღვაწლი, მიუტევე მათ ყოველგვარი შეცოდებანი, და იხსენ ბოროტისა სნეულებისა და უეცარი, უზიარებელი სიკვდილისაგან“. როგორც კი ლოცვა დაასრულა, ზეციდან ხმა გაისმა, რომელიც წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ჰპირდებოდა თხოვნის შესრულებას – „მოვედ, წმიდაო ბარბარე, დისა შენისა იულიანას თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა მათ თანა და ყოველი, რომელი ითხოვე, მიმიცემიეს შენდა და უფროჲსი ამისსა მიგცე შენ“. ძლიერ გააკვირვა ამის გაგონებამ დიოსკორე და სხვებიც, ვინც იქ იყვნენ, წმიდა ბარბარე კი სიხარულით აღივსო, თავი მოუდრიკა მახვილს და მამას უთხრა: „აწ აღასრულე ბრძანებული შენდა მიმართ, ჰოჲ, უღმერთოო“. დიოსკორემ დასცა მახვილი და წარკვეთა წმიდა ბარბარეს პატიოსანი თავი. დიოსკორემ და მარკიანემ კი მალევე მიიღეს მართლმსაჯული უფლისაგან კუთვნილი სასჯელი – მეხის დარტყმით დაიწვნენ.

305 – 311 წლებში, იმპერატორ მაქსიმიანეს დროს წამებულ ბარბარეს წმინდა ნეშტი თავდაპირველად ღმრთისმოსავმა ვალენტიანემ დაკრძალა ქალაქ ილიოპოლისში შესაფერისი პატივით, მოგვიანებით იმ ადგილას ეკლესია აიგო. VI ს-ში წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადაასვენეს; XI საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერატორ ალექსი კომნენოსის (1081-1118) ქალიშვილმა – ბარბარემ კიევის დიდ მთავართან სვიატოპოლკ II იზიასლავოვიჩთან (წმინდა ნათლისღებით მიხეილი – მიქაელ სვიატოპოლი) ქორწინების შემდეგ, ისინი კიევის რუსეთში გადაასვენა. 1644 წელს კიევის მიტროპოლიტმა პეტრე მოგილამ დიდმოწამის თითის ნაწილი მიართვა პოლონეთის სამეფოს კანცლერს გიორგი ოსოლინსკს, ამავე დროს წმინდანის მარცხენა ხელი, დიდიხნის განმავლობაში იმყოფებოდა რა საბერძნეთში, გადაიტანეს პოლონეთის ქალაქ ლუცკში და დააბრძანეს მონასტრის „ჯვართამაღლების ტაძარში“.

XVIII ს-ის დასაწყისში კიევის მიტროპოლიტმა იოასაფმა (კროკოვსკი) წმინდა დიდ-მოწამე ბარბარეს შეუდგინა დაუჯდომელი საგალობელი, რომელიც დღემდე იგალობება მის წმინდა ნაწილებთან.

1934-36 წლებში წმინდა მიხეილის ოქროსგუმბათოვანი მონასტერი განადგურდა და წმინდა დიდმოწამე ბარბარეს ნაწილები მუზეუმში გადაიტანეს. 1960 წლიდან კი დაბრძანებულია ქ. კიევის წმიდა ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარში, ეკვდერის შუაში, შემაღლებულ ადგილას. ქალწულმოწამის წმიდა ნაწილებთან მრავალი კურნება და სასწაულია დაკავშირებული.

საისტორიო წყაროებით დასტურდება, რომ საქართველოს ეკლესია უძველესი დროიდან ფლობდა წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილს და იგი სვეტიცხოველის ტაძრის კანკელის მარცხენა მხარეზე არსებულ სანაწილეში იყო დასვენებული.

1983 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის თხოვნით, უკრაინაში ჩასულ ქართველი სამღვდელოების დელეგაციას კიევის მაშინდელმა მიტროპოლიტმა ფილარეტმა საჩუქრად გადასცა წმინდა ბარბარეს ნეკა თითის ნაწილი.

რამოდენიმე წლის წინ საქართველოში ჩამოაბრძანეს დიდმოწამე ბარბარეს ხატი, რომელშიც ასევე წმინდა ბარბარეს მცირე ზომის წმინდა ნაწილი იყო ჩაბრძანებული. წმინდა დიდმოწამე ბარბარე ბავშვების მფარველად ითვლება. მას ევედრებიან ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისა და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის.

ქართველებს წმინდა ბარბარე განსაკუთრებულად გვიყვარს. ამაზე მეტყველებს მის სახელზე აშენებული მრავალი ტაძარი. თბილისში მისი სახელობის რამდენიმე ტაძარია, მათგან პირველი მე-8 საუკუნეშია აგებული.

გილოცავთ ამ დიდებული წმინდანის ხსენებას! ქალწულმოწამე ბარბარე გფარავდეთ და გეწეოდეთ ქრისტესკენ სავალ გზაზე.

საქართველოს საპატრიარქო
patriarchate.ge



19 დეკემბერი წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეა

ზოგიერთი ცნობის თანახმად, წმინდა ნიკოლოზი 325 წელს ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა. იგი მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას არიოზის ერესისაგან და გადმოცემის თანახმად, ვერ გაუძლო არიოზის ღვთისმგმობელ სიტყვებს და მას კვერთხი ჩაარტყა. ამის გამო წმინდანს სამღვდელმთავრო პატივი აჰყარეს. მაგრამ მოხდა სასწაული: რამდენიმე ეპისკოპოსმა საღვთო ჩვენებით იხილა, რომ წმინდა ნიკოლოზს ერთ მხარეს მაცხოვარი ედგა სახარებით, მეორე მხარეს კი დედა ღვთისმშობელი ომოფორით. ამ სასწაულებრივი ჩვენების შემდეგ უფლის რჩეულს დაუბრუნეს სამღვდელმთავრო პატივი.

წმინდა ნიკოლოზის სახელთან უამრავი სასწაულია დაკავშირებული. იგი იყო და არის უსამართლოდ დევნილთა და გაჭირვებულთა განსაკუთრებული მფარველი. ერთხელ ერთმა შეძლებულმა კაცმა მთელი ქონება დაკარგა და გაჭირვებიდან თავისდასაღწევად გადაწყვიტა სამი ულამაზესი ქალიშვილის საროსკიპოში გაშვება. წმინდანმა ეს რომ შეიტყო, ფარულად სამი ქისა ოქრო შეაგდო მათ სახლში და ასე იხსნა ოჯახი გაჭირვებისგან და სულიერი დაღუპვისაგან. წმინდა ნიკოლოზი ცდილობდა კეთილი საქმეების დაფარულად აღსრულებას, რათა ისინი მხოლოდ ღვთისათვის ყოფილიყო გაცხადებული; ყოველთვის იცავდა სახარებისეულ სწავლებას: „როცა შენ გასცემ მოწყალებას, დაე, ნუ ეცოდინება შენს მარცხენა ხელს, რას აკეთებს მარჯვენა(მთ. 6;3)“. თუმცა, ღვთის განგებით, მრავალრიცხოვანი სასწაულებიდან ყველა დაფარული არ არის და ზოგიერთი გაცხადებულია, რათა მათი გაცნობისას ჩვენც მივიღოთ ნუგეში და ვიგრძნოთ რაოდენ დიდია ძალა რწმენისა და რაოდენ დიდია სიყვარული და მზრუნველობა წმინდა ნიკოლოზისა.

წმინდა ნიკოლოზმა ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა და IV საუკუნის შუა წლებში მშვიდობით მიიცვალა. მისი მირონმდინარე ნაწილები ადგილობრივ საკათედრო ტაძარში იყო დასვენებული და მრავალ სნეულს ჰკურნავდა. 1087 წელს ეს უდიდესი სიწმინდე იტალიის ქალაქ ბარში გადაასვენეს. დღესდღეობით ქალაქ ბარში რამდენიმე ათასი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. წმინდა ნიკოლოზის განსასვენებლზე არსებულ ტაძარში მოღვაწეობს ქართველი სასულიერო პირი – არქიმანდრიტი მოსე (ჭანკვეტაძე).

როგორც ცნობილია, წმინდა ნიკოლოზი მსწრაფლშემწეა და მუდმივად ახდენს სასწაულებს. არსებობს ერთი ბერძნული ფრესკა, სადაც სხვა წმინდანებთან ერთად წმინდა ნიკოლოზიც არის გამოსახული. მას ხელი ყურთან აქვს მიტანილი და ოდნავ გადმოხრილია მიწისკენ. ამით ხატმწერმა გამოხატა წმინდა ნიკოლოზის მუდმივი მზადყოფნა, შეისმინოს მორწმუნეთა ვედრება და დაეხმაროს მათ.

„წმინდა ნიკოლოზი ბრძანდება ჩვენი ეკლესიისა და ერის მფარველი. იგი არის მსწრაფლშემწე ყოველი გაჭირვებული ადამიანისა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს ლოცვით მიემართოს წმინდა ნიკოლოზისათვის და მას არ შეესრულებინოს მისი ვედრება. იგი ისეთი მოწყალეა, რომ სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს – მაჰმადიანებსაც კი უსრულებს თხოვნას. წმინდა ნიკოლოზის ლოცვით შეგეწიოთ უფალი თქვენ და სრულიად საქართველოს!“ – აღნიშნავს ერთ-ერთ ქადაგებაში ილია II.

წმინდა ნიკოლოზი არის საქართველოს ეკლესიის მფარველი და მას განსაკუთრებულად ვევედრებით საქართველოს გადარჩენისათვის.

patriarchate.ge

19 დეკემბერს (ძვ.სტილით 6 დეკემბერს) მარლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნიკოლოზ მირონ-ლუკიელის ხსენებას აღნიშნავს. დაახლოებით XVI საუკუნე გავიდა წმინდა ნიკოლოზის ამქვეყნიური მოღვაწეობიდან, თუმცა მისი წმინდა სახელი დღემდე განსაკუთრებულად იდიდება და მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ორჯერ აღასრულებს წმინდა მღვდელმთავრის ხსენებას. წმინდა ნიკოლოზი სიკეთით, სიყვარულით, უბრალოებით, თავმდაბლობით, უფლისა და ადამიანების განსაკუთრებული სიყვარულით იყო დაჯილდოებული და გამორჩეული. მის სახელთან უამრავი სასწაულია დაკავშირებული. მას მთელი ქრისტიანული სამყარო უდიდეს პატივს სცემს და აღსრულებული კეთილი საქმეებისა და სასწაულების გამო საკვირველმოქმედსა და ყოვლადდიდებულს უწოდებს. იგი განსაკუთრებული მეოხია გაჭირვებაში მყოფთათვის და მისი შეწევნა ხშირად უგრძვნიათ მისდამი სარწმუნოებით მვედრებელთ.

წმინდა ნიკოლოზი, მირონ–ლუკიის მთავარეპისკოპოსი, ლუკიის ოლქის ქ. პათარში (მცირე აზიის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე), ქრისტეს შობიდან III საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა. მისი მშობლები თეოფანე და ნონა დიდგვაროვნები და შეძლებულნი იყვნენ. ისინი მრავალ კეთილ საქმეს აღასრულებდნენ და ღრმა სარწმუნოებით გამოირჩეოდნენ. მათ დიდი ხნის განმავლობაში შვილი არ ჰყოლიათ და უფალს აღთქმა დაუდეს: თუ კი შეეძინებოდათ შვილი, მას ღმერთს შესწირავდნენ. უფალმა შეინირა მათი კეთილი საქმეები, შეისმინა მათი ლოცვა და ხანშიშესულ მშობლებს შეეძინათ ბავშვი. ჩვილმა ნიკოლოზმა პირველივე დღეებში აჩვენა, რომ იგი უფლის მსახურებისთვის იყო განკუთვნილი. გადმოცემის თანახმად, ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისას, ახალშობილი ყრმა სხვათა დაუხმარებლად, დამოუკიდებლად იდგა ემბაზში სამი საათი. ამით, გამოხატა რწმენა ყოვლადწმიდა სამების მიმართ. წმინდა ნიკოლოზმა მარხვაც ჩვილობაში დაიწყო: ოთხშაბათობით და პარასკევობით დედის რძეს მხოლოდ ერთხელ, საღამოობით ღებულობდა – მას შემდეგ, რაც მისი მშობლები საღამოს ლოცვით კანონს აღასრულებდნენ. ნიკოლოზს სიყრმიდანვე უყვარდა ლოცვა და ეკლესიაში სიარული. გულმოდგინედ ისმენდა და სწავლობდა სახარებას. იგი ყრმობიდანვე გამოირჩეოდა გაჭირვებულთადმი მზრუნველობით: არც ერთ უპოვარსა და გაჭირვებულს ისე არ ჩაუვლიდა, რომ არ შეწეოდა და სანუგეშო სიტყვა არ ეთქვა მათთვის. წმინდა ნიკოლოზის ბიძამ როდესაც იხილა ძმისწულის საღმრთო მოშურნეობა, ჯერ მედავითნედ დაადგინა, შემდეგ კი მღვდლად აკურთხა. ხელდასხმის დღეს სულიწმინდის მადლით აღვსილმა მღვდელმთავარმა სამწყსოს წმინდა ნიკოლოზზე მიუთითა და უთხრა: „ძმანო, მე ვხედავ ამომავალ მზეს, ქვეყნად ყოველთა მწუხარეთა ნუგეშინის ცემად. ნეტარ არს სამწყსო, რომლის მწყემსიც იგი შეიქმნება“. საოცარი სარწმუნოებითა და განათლებით გამორჩეული ახალგაზრდა მღვდლის ქადაგება მსმენელთა შორის კრძალვასა და პატივისცემას იწვევდა.

ხელდასმიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ წმინდა ნიკოლოზის ბიძა იერუსალიმში გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსალოცად და თავის ძმისშვილს დაავალა ეპარქიის გამგეობა. წმინდა ნიკოლოზი ამას მთელი პასუხისმგებლობით შეუდგა. ბიძის დაბრუნების შემდეგ კი თავად გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსალოცად. იერუსალიმში ჩასულმა ნიკოლოზმა თაყვანისცა ქრისტეს მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა ადგილს და სამოღვაწეოდ უდაბნოში გასვლა გადაწყვიტა. თუმცა, სხაგვარი აღმოჩნდა ღვთის ნება: უფალმა მოუწოდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ წმინდა სიონის სავანის ძმობაში შესვლა გადაწყვიტა, მაგრამ უფალმა კვლავ მოუწოდა ერში გასულიყო და ხალხი განემტკიცებინა ქრისტიანობაში. წმინდა ნიკოლოზს საღვთო ხილვაში მაცხოვარმა ძვირფას ყდაში ჩასმული სახარება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა კი სამღვდელმთავრო ომოფორი გადასცა.

იმ პერიოდში ქალაქ მირონის მთავარეპისკოპოსი გარდაცვლილიყო და ახალი მღვდელმთავრის არჩევა მიმდინარეობდა. შეკრებილ ეპისკოპოსთაგან ერთერთს უფალი გამოეცხადა და უბრძანა, ღამით ტაძრის კარიბჭესთან დამდგარიყო: „პირველი ვინც შემოვა, ჩემი რჩეულია, მას ნიკოლოზი ჰქვია“. ღვთის განგებით ამდროს წმინდა ნიკოლოზი ქალაქ მირონში იმყოფებოდა და ჩვეულებისამებრ ტაძარში წავიდა ცისკრის ლოცვაზე დასასწრებად. როდესაც კართან მდგომმა ეპისკოპოსმა წმინდა ნიკოლოზის სახელი შეიტყო, მღვდელმთავრებს წარუდგინა და საღვთო ხილვა აუწყა. „მიიღეთ ძმებო, თქვენი მწყემსთავარი, რომელიც თავად სულიწმინდამ გამოირჩია თქვენს ეპისკოპოსად“.

მირონ-ლუკიის ეკლესიის მესაჭედ დადგინების შემდეგაც წმინდა ნიკოლოზი განაგრძობდა მოსაგრე ცხოვრებას და სამწყსოს სიმდაბლის მაგალითს აძლევდა.

ამდროს იმპერატორმა დიოკლეტიანემ დაიწყო ქრისტიანთა უსასტიკესი დევნა. წმინდა ნიკოლოზი უშიშრად და დაუცხრომლად ქადაგებდა ქრისტიანობას, რისთვისაც შეიპყრეს და საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც დიდხანს იყო და მოთმინებითა და მადლიერებით იტანდა შეურაცხყოფას, შიმშილსა და წყურვილს. ქრისტიანთა დევნა იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს დასრულდა და ყველა ქრისტიანი, მათშორის წმინდა ნიკოლოზიც, გაათავისუფლეს საპყრობილიდან.

ფიტოთერაპია – რა დაგვეხმარება დაბალი იმუნიტეტის ასამაღლებლად?

კლიმატის ცვალებადობასთან ერთად. ჩვენი ორგანიზმი კარგავს „იმუნიტეტს“ რაც საკმაოდ აისახება ჩვენს სიძლიერეზე. არსებობს საკმაოდ ადვილი, ეფექტური, და მარტივად მოსამზადეველი პროდუქტი. რაც თითოეულ ჩვენგანს დაგვეხმარება ჩვენი იმუნიტეტის ამაღლებაში. მაშ ასე. გთავაზობთ რეცეფტს უცვლელად.

ეს გემრიელი „წამალი“ ბევრმა თქვენგანმა შეიძლება იცის კიდეც. განსაკუთრებით პოპულარულია ორსულებში – ექიმები სწორედ ამ ნარევს ურჩევენ მათ.

ეს ნარევი ორგანიზმს უამრავი საჭირო ვიტამინით, მიკროელემენტით, მინერალით ამარაგებს და მის ბრძოლისუნარიანობას ამაღლებს.

- თაფლი – 200 გ
- ნიგოზი – 200 გ
- შავი ქლიავის ჩირი, უკურკო – 200 გ
- გარგარის ჩირი – 200 გ
- ქიშმიში (თეთრიც და შავიც) – 200 გ
- ლიმონი –

რეცეპტი ძალიან მარტივია: ყველა ინგრედიენტი, თაფლის გარდა ხორცსაკეპში უნდა გაატაროთ. შემდეგ თაფლი დაამატოთ და კარგად აურიოთ. მიიღებთ წებოვან, სქელ, გემრიელ მასას, რომელიც ყოველ დღე 1-2 კოვზი უნდა მიირთვათ. შეინახეთ მაცივარში.

მთავარი ინგრედიენტების გარდა, ნარევს შეგიძლიათ დაამატოთ ნუში, კედარის კაკალი (განსაკუთრებულად სასარგებლოა), ლეღვის ჩირი.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული

ილია ჭავჭავაძე უდიდესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. მისი ბუმბერაზი ფიგურა მზესავით აბრწყინებს მშობლიურ ქვეყანას. იგი ტიტანივით წამოიმართა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში და დღესაც ასევე დგას ჩვენს წინაშე.

დიდი მამულიშვილის სახელი იმდენად ახლობელია თითოეული ჩვენთაგანისათვის, იმდენად მშობლიური, თბილი, იმდენად ნაცნობი და შინაურია, რომ ზოგჯერ შეიძლება ჩვეულებრივად, ბუნებრივად და უბრალოდაც კი წარმოვთქვათ – ილია.

ილია – ყვარლის მადლიან მიწაზე „გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“, ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, ვინ იცის, რამდენჯერ გამხდარა ჩვენი თანამოაზრე, ახალი წამოწყებების სულის ჩამდგმელი, ამდენი ხნის შემდეგაც მას ვბაძავთ, ვბაძავთ მამულიშვილობაში, მოქალაქეობაში, კაცობაში; გვანცვიფრებს მისი ულევი ენერგია, მრავალმხრივი ცოდნა, რომელიც უკლებლივ ხალხსა და სამშობლოს მოახმარა.

ილია ჭავჭავაძე დაჯილდოებული იყო ტიტანური ნიჭით, სულის არაჩვეულებრივი სიმტკიცით, რკინისებური ნებისყოფით. ილია იყო ჭეშმარიტი ლიდერი, რომელსაც შეეძლო შთაეგონებინა და თან გაეყოლიებინა ხალხის მასების ფართო ფენები.

უაღრესად საყურადღებოა აკაკი წერეთლის სიტყვები, სადაც ილია აღიარებულია როგორც ერის ბელადი: „საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო ილია ჭავჭავაძე“.

ილიას ეპოქაში არც ერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ასე მრავალმხრივი არ ყოფილა და ასე ენციკლოპედიური ცოდნით არ გამორჩეულა. ილიას მთელი შემოქმედება იმთავითვე იქცა ქართველი ხალხის სულიერი სიმდიდრის მშვენებად. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო გამხდარიყო მთელი ერისა და ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური.

იმ პერიოდში არ დარჩენილა ქართველი ერის სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების თითქმის არც ერთი სფერო, რომლის აღორძინების მოთავე, სულისჩამდგმელი და აქტიური მხარდამჭერი არ ყოფილიყოს ილია.

ახალი ქართული ლიტერატურის დიდება – ილია ჭავჭავაძე ქართული ენის რეფორმატორად გვევლინება. მისი პროზა ქართული სიტყვის ზეიმია. იგი იყო ბელეტრისტიკის შეუდარებელი ოსტატი, შემქმნელი ეროვნული სინამდვილის ამსახველი შედევრებისა.

ბუმბერაზმა მოაზროვნემ ქართულ პოეზიას ახალი სიცოცხლე შთაბერა და გაათანამედროვა, ლიტერატურის მწვერვალზე აიყვანა. საფუძველი ჩაუყარა მხატვრულ კრიტიკას, განუზომელი ღვაწლი დასდო სახალხო განათლების განვითარებას, შექმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

ილია ჭავჭავაძე ქართული თეატრალური კულტურის დიდი პროპაგანდისტი და მფარველი გახლდათ. პროფესიული თეატრის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა თავისი კალმით სიცოცხლისაკენ შემოაბრუნა ეროვნული დრამატურგია. ილიას თაოსნობით ჩამოყალიბდა ქართული დრამატული საზოგადოება, რომლის პირველი თავმჯდომარე თვითონვე იყო.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ილიას დამსახურება ქართული პერიოდული პრესის წინაშე, როგორც წარმატებული, ინიციატივიანი გამომცემლისა და რედაქტორისა.

საქართველოს დიდმა მოჭირნახულემ მრავალი შესანიშნავი სტატია უძღვნა ჟანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების საკითხებს, ეკონომიკურ პრობლემებს. ილიამ დიდი ხნის ნაფიქრ–ნააზრევი გაუზიარა მკითხველს და საგლეხო რეფორმის ღრმა, მრავალმხრივი ანალიზი მოგვცა.

ალბათ, იშვიათია შემთხვევა, რომ პერიოდულ პრესას ასეთი დიდი როლი ეთამაშოს ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში, ასეთი გავლენა მოეხდინოს მის აწმყოსა და მომავალზე.

განუზომელია ილიას ღვაწლი ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსებასა და მის საქმიანობაში. იგი ბანკის შემოსავალს უანგაროდ ახმარდა ქართულ საქმეს.

ილია ჭავჭავაძე როგორც რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სხდომებზე თამამად გამოდიოდა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დასაცავად. აღსანიშნავია მისი ბრძოლა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“ – ბრძანებს ერის მამა. „ქართველის ბედის“ წაღმა შემობრუნებისათვის ზრუნვა იყო ის უმთავრესი ძალა, რითაც ილიამ გაიყოლია ბრძოლის ასპარეზზე თანამებრძოლები, მთელი ქართველი ერი. მისი ცხოვრება და შემოქმედება სამშობლოს უანგარო სამსახურის შუქითაა გაბრწყინებული. ილიას მარად სჯერადა საქართველოს უკვდავება. იმიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე სიტყვები „ილია და საქართველო“ სინონიმებად იქცა.

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი მდიდარი შემოქმედება, ქართველი ხალხის კუთვნილებაა. განუზომელია მისი ნიჭი და ავტორიტეტი. ილია უყვართ, სწამთ, სჯერათ მისი. იმდენად ფართო და ინტენსიური იყო დიდი შემოქმედის მოღვაწეობა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, რომ შეიძლება მხოლოდ გაკვირვება და აღტაცება გამოხატო მისი დაუშრეტელი ენერგიისა და ცეცხლოვანი ბუნების გამო.

დიდებულად და მართებულად ბრძანა კიტა აბაშიძემ: „ილიას ნიჭი იყო ძლიერი, სასტიკი, მეხთამტეხი, „მრისხანე და შეუპოვარი“, როგორც მიქელანჯელოსი, ფიდიასისა, ბაირონისა, კორნელისა და გეტესი“.

სწორედ ეს ღვთისგან ბოძებული ნიჭი არ აპატიეს ვაი ქართველებმა, საქართველოს უგვირგვინო მეფეს. წინამურთან მისი საზარელი და ვერაგული მკვლელობაც ამის დასტური გახლავთ. „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოსაც მოჰკლავენ“... ამ სიტყვებით დაიტირა ვაჟა ფშაველამ ქართველი ერის დიდი მოამაგე. ილიას მკვლელობა არ იყო ჩვეულებრივი სიკვდილი, ეს იყო სატანის დროებითი ზეიმი, ეს იყო „ჯვვარცმა“.

ილიას აპოთეოზია საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინება; „ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის ილია ჭავჭავაძე შერაცხილ იქნას წმინდანად და ეწოდოს მას ილია მართალი“.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ადამიანი, წარსულ ეპოქას ეკუთვნის; სამაგიეროდ, როგორც მწერალი, მოაზროვნე, მოღვაწე, როგორც რწმენისა და აზრის კაცი, ჩვენი თანამედროვეა; ხოლო, როგორც წმინდანი, ჩვენი განმანათლებელია, ჩვენი მოძღვარი.

და ბოლოს, სამშობლოს მფარველად და იმედიანი მომავლის დასტურად, დღესაც ჩვენთანაა საქართველოს თანამდევი, უკვდავი სული.

დიდება შენდა, უფალო იესო ქრისტე! ამინ.

ოთარ დავითაშვილი

არ უნდა დავივიწყოთ ის ადამიანები, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ყვარლის რაიონის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაში

სასიამოვნო მოგონებები კრიალოსანივით იკინძებიან გონებაში და ამ დიდებული პიროვნების ცხოვრება-მოღვაწეობის გზა-სავალს აცოცხლებენ ჩვენს თვალწინ.

სამწუხაროდ, დღეს მის ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს, თანამოსაქმეებს უკვე წარსულში გვიწევს მასზე საუბარი.

80 წელზე ცოტა მეტი იცხოვრა რობერტ ურჯუმელაშვილმა ამ ქვეყანაზე და ახლა მისი სული ცათა სასუფეველშია.

ყვარლისა და რობერტ ურჯუმელაშვილის ურთიერთობა დაახლოებით 40 წლის წინ დაიწყო. მაშინ ახალგაზრდა კაცი რაიონის ხელმძღვანელად დაინიშნა და სულ რამდენიმე წელში მისი თაოსნობით ყვარელი ყოველმხრივ წარმატებული და სახელსმიანი გახდა – მომძლავრდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, განვითარდა ეკონომიკა, კეკლუცი და მიმზიდველი გახდა ყვარელი. მისი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა დიდ მამულიშვილურ საქმეს – ილია ჭავჭავაძის მუზეუმის მეგორიალობის აღდგენას. ამ წინსვლის სულისჩამდგმელი კი ყოველთვის „ჩრდილში“ იყო, ყველაფერს უხმაუროდ, ყოველგვარი აფიშირების გარეშე აკეთებდა.

ეს უფრო მეტ სიმპათიებსა და პატივისცემას იწვევდა მოსახლეობაში.

ამ და სხვა გამორჩეულ თვისებათა წყალობით ყვარლის რაიონის იმდროინდელი თავკაცი რობერტ ურჯუმელაშვილი ყვარლის მოსახლეობისა და მისი თანამებრძოლების მეხსიერებას შემორჩა როგორც საუკეთესო ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის სახე.

ჩვენ კი, ვინც ამ გახსენების წერილს ვაწერთ ხელს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რობერტ ურჯუმელაშვილი იყო ჭეშმარიტად რაფინირებული პიროვნება, დიდი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელი, ძალზე კეთილშობილი, ჰუმანური პიროვნება, ულამაზესი და დიდებული ოჯახის მამა, მოკლედ – „კაცური კაცი“.

მერაბ კოკორაშვილი, ვალერი ზურაშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი, ალიმან ლაფაჩიშვილი, ლიანა ავაზაშვილი, დალი ავაზაშვილი, ნუგზარ ღონიაშვილი, ალექსანდრე შავგულიძე, ლევან გამსახურდია.

საქმით და კაცობით გამორჩეული როგერტ ურჯუმელაშვილი...



ვაჟა ერგეშიძე – ვაჟკაცური თვისებებით შემკული და დიდი იუმორით აღსავსე პიროვნება

ულმობელმა სიკვდილმა კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი გამოაკლო ჩვენს რიგებს. ხუთი თვეა გასული, რაც უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ვაჟა ერგეშიძე, ჩვენი უებრო მეგობარი და საოცრად ლამაზი სულის პატრონი, ვაჟკაცური თვისებებით შემკული და დიდი იუმორით აღსავსე პიროვნება, რომელიც უდავოდ ამშვენებდა ყვარელს და ახალსოფელს.

ვაჟა ერგეშიძემ სამაგალითო და დასამახსოვრებელი ცხოვრების გზა განვლო. 1961 წელს დაამთავრა ახალსოფლის საშუალო სკოლა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ვლადიკავკაზის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1967 წელს წარმატებით დაამთავრა ქირურგის სპეციალობით. 1967-1974 წლებში მუშაობდა ტამბოვის ოლქში, ქ. ტამბოვის ცენტრალურ საავადმყოფოში ქირურგად.

1974 წლიდან მუშაობას იწყებს ყვარლის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ქირურგად, სადაც მალევე გამოვლინდა მისი როგორც პროფესიონალი ექიმის დონე და უშრეტი ენერგია. რაიონის და რაისაავადმყოფოს მაშინდელ ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩათ მისი ახალგაზრდული შემართება, დაკისრებული საქმიანობისადმი გამოჩენილი მაღალი პასუხისმგებლობა და ახალგაზრდა ექიმი რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ დაანინაურეს. შემდგომ კი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ყვარლის რაიონულ საავადმყოფოს მთავარი ექიმის რანგში.

სწორედ აქ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და შესაშური ენერგია და ზემდგომ ორგანოებთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბების წყალობით რაიონის მედიცინის დაწესებულებებში განახლებისა და აღმშენებლობის ხანა დაიწყო.

ბატონი ვაჟას მოღვაწეობის პერიოდში, რაისაავადმყოფოს ერთადერთ ორსართულიან შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მესამე სართულიც დაემატა, შემდგომში კი მრავალსართულიანი კორპუსებიც წამოიმართა, სადაც კომფორტული გარემო შეექმნათ მედპერსონალსაც და პაციენტებსაც.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მან გააჯანსაღა და შექმნა ისეთი სამუშაო ატმოსფერო, რომლის წყალობითაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს ყვარლელმა ექიმებმა. იმდენად მაღალი იყო ყვარლის მედიკოსების პროფესიანული რეიტინგი, რომ მეზობელი რაიონებიდან უამრავი ადამიანი აკითხავდათ დახმარებისთვის.

ვაჟა იყო ადამიანური სიკეთით, ხალასი ნიჭით აღსავსე, სტუმართმოყვარე და შესაშური იუმორით დაჯილდოებული პიროვნება. ყვარლის რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას, როდესაც მაღალი რანგის თანამდებობის პიროვნებები სტუმრობდნენ, ვაჟას გარეშე წარმოუდგენელი იყო მასპინძლობა გაეწიათ, ვინაიდან მისი იქ ყოფნით დადებითი აურა ყალიბდებოდა და ბევრი საკითხიც რაიონისათვის სასარგებლოდ წყდებოდა.

ვაჟა იყო მშობლიური ბუნების, მთისა და ბარის ჭეშმარიტი მოტრფიალე, ყველაფერს ერჩივნა ავანისა და შოროხევის ხეობებში, ღოლოიანის უღელტეხილზე ხეტიალი, ნადირობა, ამასთან თევზაობის დიდოსტატი იყო და სასროლი ბადის უბადლო მსროლელი, რომლის დაჭერილი თევზი ხშირად დაგვიგემოვნებია.

უყვარდა თავის ოჯახში მეგობრების მიპატიჟება, მისი მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი ნუნაზი ყოველთვის ღიმილით გვეგებებოდა და ტრადიციულ კახურ სუფრას გვიშლიდა. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ კიდევ უფრო გაუარესა ვაჟას ჯანმრთელობის მდგომარეობა და ნაადრევად გაუდგა გზას საყვარელ მეუღლესთან შესახვედრად.

ასე იცხოვრა ვაჟა ერგეშიძემ 76 წელიწადი, მაგრამ მან პირნათლად აღასრულა ამ ქვეყნად მოვლინების მისია, ჰყავდა სამაგალითო ქართული ოჯახი და დატოვა შესანიშნავი შთამომავლობა შვილების გიორგისა და ლევანის, შვილიშვილების ლაშა-გიორგის და მარიამის სახით, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ პაპისა და ბებიის მიერ დაწყებულ ოჯახურ ტრადიციებს.

სამწუხაროა, რომ ლევანის ბედნიერებას ვერ მოესწრო და გულნაკლული წვიდა ამქვეყნიური წუთისოფლიდან. დასანანია, რომ უსაყვარლესი მეგობარი, იუმორით აღსავსე პიროვნება ჩვენს გვერდით აღარ არის. გვჯერა, რომ მის მიერ დათესილი სიკეთის მადლი უკვალოდ არ ჩაივლის და მისი ხსოვნა არასოდეს გაფერმკრთალდება.

უსაზღვროა გულისტკივილი, ჩვენო ვაჟა ბატონო! ამ ქვეყნიდან შენი ნაადრევად წასვლის გამო.თუმცა ამბობენ – ღმერთსაც შენნაირი სპეტაკი ადამიანები ურჩევნიაო. ჩვენ ყოველთვის გაგიხსენებთ და ვილოცებთ იმისთვის, რომ შენმა სულმა სამუდამო სამყოფელი დაიმკვიდროს იქ, ჩვენთვის მიუწვდომელ განზომილებაში, რომელსაც სამოთხე ჰქვია.

ზურაბ ტუშური, ზურაბ ჯოხაძე, თემო კიკოლაშვილი, ვალერი ზურაშვილი, მერაბ სეფაშვილი, ანგი გავაშელიშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი, გოჩა შავგულიძე.

გიორგი სომხიშვილი შვილზე, განვლილ კარიერაზე, ქართულ ფეხბურთზე...

ეროვნული ლიგა 2-ის 34-ე ტურში მომხდარი ამბავი უკვე ყველამ იცის – „დავით პეტრიაშვილი არენაზე“ თბილისის „შევარდენი 1906“ ქობულეთის „“შუქურასთან“ 0:2-ს აგებდა და რადგან ყველაფერი გარკვეული იყო, 76-ე წუთზე თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა პაატა მეტრეველმა მეკარე შეცვალა – მოედანზე 16 წლის დავით სომხიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც კარში მამა, გიორგი სომხიშვილი შეცვალა.

საქართველოს ჩემპიონატში მსგავსი რამ მხოლოდ 1997 წელს მოხდა, როცა ერთმანეთის გვერდიგვერდ მამა-შვილმა მერაბ და გია მეგრელაძეებმა ითამაშეს, მათ კი ასევე მამა-შვილი ოთარ და ლევან კორღალიძეები დაუპირისპირდნენ...

დავით სომხიშვილი „საბურთალოს“ სკოლის აღზრდილია, ბოლოს „ლოკომოტივის“ ასაკობრივ გუნდში თამაშობდა და „შევარდენში“ 2019 წლის დასაწყისში აიყვანეს. გიორგი სომხიშვილს კი ყველა იცნობს – 38 წლის მეკარეს, რომელიც საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მეკარე იყო და დიდი მომავალი ექნებოდა, რომ არა ტრავმები და ბევრი დამაბრკოლებელი ფაქტორი.

1996 წელს ყვარლის „დურუჯში“ დაწყებული კარიერის შემდეგ, გიორგი სომხიშვილს არაერთ წამყვან ქართულ გუნდში უთამაშია – თბილისის „დინამოში“, ქუთაისის „ტორპედოში“, ბათუმის „დინამოში“, „თბილისში“, საჩხერის „ჩიხურაში“, გორის „დილაში“, ზუგდიდში“, ახალციხის „მესხეთში“, „შუქურაში“... იყო საქართველოს თასის ფინალისტი (2013,2014), სუპერთასის გამარჯვებული (2014) და ფინალისტი (2010).

გამოცდილი მეკარე „ლელოსთან“ ინტერვიუში ბევრ საინტერესო თემაზე ლაპარაკობს – შვილზე, წარსულზე, მომავლის იმედებსა და, ცხადია, ქართველ მეკარეებზე.

– რას იტყვით, დათოსგან მამაზე უკეთესი მეკარე გაიზრდება?

– ამის დიდი იმედი მაქვს. მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობა უფრო მოემატება და ამის შემდეგ უფრო მეტი ვარჯიში მოუწევს და ვნახოთ, თუ მოუმატებს, შრომა თუ არ დაიზარა, ითამაშებს.

– რამდენი ხანია, რაც „შევარდენშია?“

– სეზონი რომ დაიწყო, „ლოკომოტივიდან“ გადმოვიდა და მერე ძირითად გუნდში მეკარეების მწვრთნელის, თამაზ ოდიკაძის დაჟინებული მოთხოვნით გადმოვიდა.

– ასაკობრივ ნაკრებში თუ იწვევენ?

– გიორგი მიქაძემ 18 წლამდელებში ორჯერ გამოიძახა, მაგრამ ახლა, როცა ფინეთთან თბილისში ორი თამაშია დაგეგმილი, აღარ მიიწვია.

– მეკარეთა საფეხბურთო აქტივობის დრო ჩვეულებრივი მოთამაშისას აღემატება, მაგრამ 39 წლის ასაკში საქართველოში თამაში იოლი არ იქნება...

– ფეხბურთი ისე მიყვარს, ეს ჩემი სიამოვნებაცაა და სტიმულიც. მაგრამ უკვე ვფიქრობ, რა გავაკეთო კარიერის დასრულების შემდეგ.

– და რა გეგმები გაქვთ?

– მეკარეების მწვრთნელობაზე ვფიქრობ. თუმცა, ამის თქმა ჯერ ზუსტად არ შემიძლია.

– რამდენი წელია, რაც თამაშობთ?

– ოოო, ეს არ დამითვლია... 23 წელი გამოდის.

– პროფესიულ ფეხბურთში პირველი თამაში გახსოვთ?

– რა თქმა უნდა! ამას რა დამავიწყებს?! მაშინ ყვარლის „დურუჯში“ ვთამაშობდი და ფოთის „კოლხეთს“ ვხვდებოდით. მე მოედანზე მეორე ტაიმში შემიყვანეს. პაატარა ბიჭი ვიყავი და დიდების წინაღმდეგ პირველად მათამაშეს... იმ წუთებს რა დამავიწყებს?!

– ეს რომელ წელს მოხდა?

– წელიც ზუსტად მახსოვს – 1996. „დურუჯი“ იმ წელს გავარდა, მე კი ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი და გაკვეთილებიდან ეგრევე ვარჯიშზე მისვლა მიწევდა.

– თამაშს რომელ წლამდე აპირებთ?

– ისე, სურვილი მაქვს, კარიერა 40 წლისამ დავასრულო. იმედია, მანამდე ჯანზე ვიქნები და ვითამაშებ.

– თავს როგორ გრძნობთ, ძველებურად ვარჯიში და თამაში შეგიძლიათ?

– კი, რა თქმა უნდა, შესაძლოა, ძველებური რეაქცია აღარ არის, მაგრამ გამოცდილება ბევრ რამეს აბალანსებს.

– 23 წელი ფეხბურთში! ალბათ, მეტი მხოლოდ მერაბ მეგრელიძემ და ოთარ კორღალიძემ თუ ითამაშეს. ბევრიც გემახსოვრებათ. თქვენი აზრით, საუკეთესო ჩემპიონატი რომელ წელს იყო?

– საერთოდ ამბობენ, რომ საუკეთესო პირველი ორი ჩემპიონატი იყო. მაგრამ მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი და ის პერიოდი კარგად არ მახსოვს. ჩემი კარიერიდან კი სამ ჩემპიონატს გამოვარჩევ – ვფიქრობ, საუკეთესოები იყო 1997, 1998 და 2000 წლების ჩემპიონატები. მახსოვს ის თამაშებიც, სადაც სტადიონები გადაჭედილი იყო – თანაც ეს ხდება ქვეყნაში, რომელსაც ომი ახალი გადატანილი ჰქონდა. ამისდა მიუხედავად, სტადიონები მაინც ივსებოდა. მერე და მერე ბევრი ცუდი რამ მოხდა და უკან-უკან წავედით.

– ყველაზე ცუდი ჩემპიონატი როდის იყო?

– ასე ვერ გამოვყოფ. უბრალოდ, იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი ჩემპიონატი უფრო და უფრო წინ წავა.

– თქვენი აზრით ახლა საით მივდივართ?

– ვერ გეტყვით... ნელა, მაგრამ მაინც წინ მივდივართ, კუს ნაბიჯებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაფერს დრო უნდა.

– დამოუკიდებლობის პირველ წლებში გვეგონა, რომ მთებს გადავდგამდით. მერე საპირისპირო პოლუსზე აღმოვჩნდით და დიდი უიმედობა გამეფდა, რაც დღემდე გრძელდება. რეალურად, რა პოტენციალისაა ქართული ფეხბურთი?

– დარწმუნებული ვარ, საკმაოდ ნიჭიერი თაობები მოდიან და წინსვლა აუცილებლად იქნება. მე ამის მჯერა და დიდი იმედიც მაქვს.

– ჩავარდნას რას მიაწერთ?

– ჩავარდნა რომ გვქონდა, ეს რა გასაკვირია – ქვეყანამ ამდენი ომი და განსაცდელი გადაიტანა, ეკონომიკა ჩამოიქცა, ფეხბურთს კი უფულოდ და საომარ ვითარებაში ვერავინ განავითარებს. მეორე ფაქტორიცაა – ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლად შენება 1990 წლიდან დავიწყეთ, ძველი სისტემა მოკვდა, საკუთარის ჩამოყალიბება კი გაგვიჭირდა. მაგრამ, ადრე თუ გვიან, საკუთარს მაინც განვავითარებთ. მოთმინება გჭირდება. წლების განმავლობაში ქართველები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში წარმატებას რომ ვაღწევდით და ელიტაში ვიყავით, ეს შემთხვევითი ხომ არ იყო, იქ გადაცმულები ხომ არ თამაშობდნენ, ქართველები იყვნენ, ჩვენი ფეხბურთის აღზრდილები... მათ ელემენტარული პირობები ჰქონდათ და არა საუკეთესო, მაგრამ შედეგს მაინც აღწევდნენ. სტაბილური გარემო და ელემენტარული პირობები თუ იქნება, წარმატებაც მოვა.

– „შევარდენზეც“ გკითხავთ. სეზონი კარგად დაიწყეთ, მაგრამ ძალიან ცუდად ამთავრებთ. რა დაემართა გუნდს?

– სანამ სეზონი არ დამთავრდება, ძნელია რამეზე ლაპარაკი, თუმცა დასკვნით ეტაპზე ძალიან დასანანი ქულები დავკარგეთ. ამან გუნდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად იმოქმედა. დიდი გავლენა იქონია ფეხბურთელების ტრავმებმაც და მოკლე სათადარიგო სკამმაც. სამწუხაროდ, ხშირმა ტრავმებმა გუნდს მძიმე დაღი დაასვა.

– პერსპექტიულ მეკარეებს თუ ხედავთ?

– რა თქმა უნდა! ჩემს პერიოდში მეკარეების მწვრთნელი იშვიათობა იყო, ახლა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩემი აზრით, დღეს რამდენიმე გამორჩეული პერსპექტივის მეკარეც გამოჩნდა.

– მაგალითად...

– გამოვყოფდი ლუკა გუგეშაშვილს, გიორგი ჩოჩიშვილს, დემეტრე ბულისკერიას და გიორგი მამარდაშვილს.

– ამ ოთხეულიდან დიდი პერსპექტივა ან ეროვნულ გუნდში მოხვედრის შანსი რომელს აქვს?

– ამის პასუხი ძალიან მარტივია – არა ის, ვინც უფრო ნიჭიერია, არამედ ის, ვინც უფრო მეტს იშრომებს. ჩვენი ცხოვრება ამას ადასტურებს. ოთხივეს საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს და ვნახოთ, როგორ განვითარდებიან. მე ვისურვებდი, რომ გაიზარდონ და ეროვნული ნაკრების მეკარეთა ღირსეული შემცვლელები გვყავდეს.

სერგო კორძაია

P.S. 30 ნოემბერს ბატონ გიორგის 39 წელი შეუსრულდა. ყვარლის გულშემატკივრების სახელით ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, წარმატებებს ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.



თამარ ჭავჭავაძე – მხატვრული კითხვის ოსტატი და ბრწყინვალე მსახიობი

„უდიდესი მადლობისა და უღრმესი სიყვარულის გრძნობით მოვდივარ ჩემს მშობლიურ ყვარელში, სადაც დავიბადე და ბავშვობის წლები გავატარე. განა შეიძლება არ განიმსჭვალო სიამაყის გრძნობით იმის გამო, რომ შენ იმ კუთხის შვილი ხარ, სადაც დაიბადნენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილნი-ქართული აზრისა და პოეზიის დიდი ოსტატი , ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე და ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი და მოამაგე, ქართული თეატრალური კულტურის გამოჩენილი მოღვაწე , უდიდესი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი.

განუზომელია სიხარული და განცდა, დიდია მოვალეობა, რომელიც მეკისრება ამჟამად, როგორც ხელოვანს. დიდ პასუხისმგებლობას და თრთოლვას განვიცდი ყვარლის მაყურებლებთან შეხვედრის მოლოდინში, რადგან, როგორც შემოქმედს, პირველად მიხდება გამოსვლა მათ წინაშე“

თამარ ჭავჭავაძე 1896 წლის 16 ოქტომბერს, ყვარელში, ირაკლი ჭავჭავაძისა და ელენე მაყაშვილის შეძლებულ ოჯახში დაიბადა. ორსართულიან სახლში ხშირად იკრიბებოდნენ სტუმრები. სამ დას შორის უმცროს – თამარს განსაკუთრებით ბაბუა, გიორგი მაყაშვილი ანებივრებდა. ის ზღაპრების შეთხზვის უბადლო ოსტატი ყოფილა და მისი მონაყოლი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა შვილიშვილებზე.

ბავშვობაში თამარი თანატოლებს შორის, სპექტაკლების დადგმის ინიციატორი იყო. თავად გახლდათ პიესის ავტორიც და რეჟისორიც. დებთან ერთად, მისი „კოლეგები“ მეზობელი გოგო-ბიჭები იყვნენ და სპექტაკლებს უმეტესად, სახლის მარანში „წარმოადგენდნენ“.

შვიდი წელი რომ შეუსრულდა, მისი ოჯახი ორი წლით თელავში გადასახლდა. სწორედ იქ ითამაშა პირველი „სერიოზული“ როლი თელავის კლუბში დადგმულ „ვნომებში“ და იმავე წელს კონცერტზე, საჯაროდ წაიკითხა ლექსი. ამის შემდეგ ჭავჭავაძეების ოჯახი კახეთიდან თბილისში ჩამოვიდა, სადაც თამარი წმინდა ნინოს სასწავლებელში მიაბარეს. იქ გატარებული წლები ნაკლებად საინტერესო იყო მომავალი მსახიობისთვის. მისი ერთადერთი ნათელი მოგონება დაკავშირებულია რუსული ლიტერატურის გაკვეთილებთან. როგორც ჩანს, ამ საგნის პედაგოგების წყალობით, თამარ ჭავჭავაძე გაეცნო რუსულ კლასიკურ ლიტერატურას და იმ დროიდან შეუყვარდა პუშკინის პოეზია.

იმხანად თბილისში თეატრალური კოლექტივები წარმოდგენებს მართავდნენ. თამარი სპექტაკლებს ესწრებოდა და გამორჩეულად დრამატული, ტრაგიკული რეპერტუარისადმი იჩენდა ინტერესს.

წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ისტორიულ განათლებას იღებს ჯერ თბილისში და შემდეგ ხარკოვში მიემგზავრება, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა ინტერესი თეატრისადმი და ფიქრობდა, რომ სწორედ ამ სფეროს დაუკავშირებდა მომავალს. მართლაც, გარკვეული გამოცდების შემდეგ, თამარ ჭავჭავაზე რუსთაველის თეატრში იწყებს მუშაობას. ის დაწვრილებით აღწერს კოტე მარჯანიშვილთან პირველ შეხვედრას: „ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარ დღეს – 1922 წლის 31 აგვისტოს, რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში. წინა დღით კი მე კახეთში, რუისპირში, სადაც შვებულებას ვატარებდი, მოულოდნელად შევიტყვე გაზეთიდან, რომ 31 აგვისტოს დანიშნულია მისაღები გამოცდა თბილისის თეატრალურ სტუდიაში. გამომცდელთა შორის დასახელებული იყო რუსეთიდან ჩამოსული ცნობილი რეჟისორი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი. სუნთქვა შემეკრა. რაღაც შინაგანი ინსტინქტი მკარნახობდა, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი ჩემს ცხოვრებაში. აუცლებლად უნდა გავსულიყავი გამოცდაზე, რათა ჩემთვის მოესმინა მარჯანიშვილს.... მეორე დღეს, დილის 11 საათზე უკვე რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ვიყავი“...

გამოსაცდელ მსახიობთა რიცხვი 100-ს აღწევდა. როცა მარჯანიშვილმა ყველა ნახა და მოისმინა, თამარ ჭავჭავაძე იხმო და შესთავაზა, შეესწავლა ლაურენსიას როლი ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროდან“, რომლის დადგმასაც რეჟისორი გეგმავდა. ეს კი უკვე იმას ნიშნავდა, რომ თამარ ჭავჭავაძემ მარჯანიშვილის სიმპათია დაიმსახურა...

გაგრძელება მე-7 გვ. -ზე

დასაწყისი მე-6 გვ. -ზე

ლაურენსია – ლოპე დე ვეგა

„ჩემი არტისტული მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან დიდ ადგილს ვუთმობდი საკონცერტო ესტრადას, – წერდა მოგვიანებით მსახიობი: – ქართველი მსახიობი ქალებიდან მე პირველმა დავიწყე სისტემატური მუშაობა ამ დარგში. რამდენჯერმე ბედნიერება მხვდა წილად, მონაწილეობა მიმეღო კონცერტში „საქართველოს ბულბულთან“ – ვანო სარაჯიშვილთან ერთად. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ ვანომ მითხრა: რა კარგი იქნებოდა, სიმღერა რომ შეგეძლოს, შესანიშნავი პარტნიორი იქნებოდი კარმენის როლშიო. ჩემთვის სასიამოვნოა, რომ მე ვარ პირველი მსახიობი, რომლის მხატვრული დეკლამაცია ჩაიწერა ქართულმა რადიომ („დეკლამაცია“ – ლიტერატურული ნაწარმოების გამოთქმით წაკითხვის ხელოვნებაა. ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ვარჯიშს მჭერმეტყველებაში“. ავტ)“...

პროფესიაში საკმაოდ მტკიცე და მიზანდასახული გახლდათ. ზოგადად კი, გულუბრყვილო ადამიანი იყო, ადვილად შეიძლებოდა მისი მოტყუება. ის მთლიანად თეატრით ცხოვრობდა.

მსახიობის შთამომავალ ელენე მაცხონაშვილი იგონებს – თამარ ჭავჭავაძე 1968 წელს გარდაიცვალა. მასთან ურთიერთობა ვერ მოვასწარი. დიდი ბებიის შესახებ გადმოცემით ვიცი. ის იმ თაობის წარმომადგენელი გახლდათ, რომელმაც ფაქტობრივად, ნულიდან დაიწყო ქართული თეატრალური ცხოვრება; თუ არ ჩავთვლით გიორგი ერისთავის თეატრს და მის „გაყრას“, ეს იყო სტარტი, როცა ქართული თეატრი ფეხზე დგებოდა. იმ დიდ თეატრალურ ეპოქაში მოღვაწეობდნენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი... ბებიას ბევრი სახე აქვს შექმნილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროში“ განსახიერებული როლი – ლაურენსია. თავადაც ამ როლს გამოყოფდა და ვფიქრობ, მიზეზი ის იყო, რომ კარგად მოერგო მის შინაგან სამყაროს და მაქსიმალურად შეძლო საკუთარი მონაცემების წარმოჩენა. მიუხედავად ამისა, საზოგადოების მეხსიერებაში თამარ ჭავჭავაძე შემორჩენილია როლით ხანუმა, ფილმიდან – „ქეთო და კოტე“. როგორც ვიცი, ამ კონკრეტულ როლზე რამდენიმე მსახიობი განიხილებოდა. ისინი სხვადასხვა ხერხით ცდილობდნენ საკუთარი კანდიდატურის გატანას, მაგრამ ბოლოს მაინც ისე მოხდა, რომ როლზე თამარ ჭავჭავაძე დაამტკიცეს.

მის მოგონებებში მაქვს ამოკითხული, რომ 6 წლიდან თავად მართავდა წარმოდგენებს ოჯახის სტუმრებისთვის, კითხულობდა ლექსებს, პერფორმანსების გამართვა ტრადიციასავით ჰქონდა. მის სტუმართმოყვარე ოჯახში ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ სტუმრები, მათ შორის იყო ილია ჭავჭავაძეც, რომელიც ნათესავად ერგებოდა. სწავლობდა ქალთა გიმნაზიაში, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. ძალიან კარგად იცოდა რუსული, ფრანგული და შესაბამისად, ნაწარმოებებს ორიგინალში კითხულობდა. საინტერესოა თამარის ჩანაწერები, თუ როგორ მუშაობდა როლზე. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ამ პროფესიას მაშინ მეტი სერიოზულობით ეკიდებოდნენ. რაც შეეხება პროფესიული არჩევანისას რაიმე ტიპის პრობლემას ოჯახის მხრიდან, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. არც შემდგომ ჰქონია პრობლემა, როცა ასევე მსახიობ პიერ კობახიძეს მისთხოვდა. ერთმანეთს კარგად უგებდნენ და იცოდნენ, რომ ორივესთვის უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული იყო მათი საქმიანობა.

თამარ ჭავჭავაძე და პიერ კობახიძე

პიერს ექვსი ცოლი ჰყავდა და როგორც ვიცი, ქალბატონებს იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. აბსოლუტურ ჰარმონიაში ცხოვრობდნენ. მეტიც, ტრადიცია ჰქონდათ, ყოველ კვირას ჩაიზე შეკრებილიყვნენ, მაგრამ

მხოლოდ ცოლები, პიერის გარეშე. საუბრობდნენ ხელოვნებაზე, ბავშვებსა და პიერზე... ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი წელი ცხოვრობდნენ თამარი და პიერი ერთად, არც საერთო ფოტო აქვთ გადაღებული. მათ ერთი ქალიშვილი შეეძინათ – ელენე ჭავჭავაძე ანუ ბებიაჩემი. ის მშობლების მსგავსად, მსახიობი გახდა და მთელი ცხოვრება რუსთაველის თეატრში მუშაობდა. არ ვიცი, თამარისა და პიერის მიზეზით, თუ კიდევ რამე სხვა იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ მათი შთამომავლები ცხოვრებას უკავშირებენ თეატრს: ბიძაჩემიც და მისი მეუღლეც მსახიობები არიან, ბებიაჩემიც მსახიობი გახლდათ, ბაბუა და მამა – რეჟისორი და მეც ეს პროფესია ავირჩიე. თავიდან მსახიობობა მინდოდა, მაგრამ ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე“.(გამოყენებულია ანა კალანდაძის ინტერვიუ ელენე მაცხონაშვილთან)

„თამარ ჭავჭავაძე ასევე იყო მხატვრული კითხვის ოსტატი. 1926 წლიდან იღებდნენ კინოშიც. ფილმები: „დინა ძაძუ“ (1926, თავადის ქალი), „ქეთო და კოტე“ (1948, ხანუმა) და სხვ. დაჯილდოებული იყო არაერთი ორდენითა და მედლით. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ეკატერინე ავაზაშვილი
პედაგოგი

გამოსათხოვარი

ლენა ხოტენაშვილი–ავაზაშვილი

ღირსეული ადამიანის გარდაცვალებას ყოველთვის ახლავს დიდი ტკივილი, ცრემლები, სევდა და მწუხარება. ასეთი პიროვნება გახლდათ ლენა ხოტენაშვილი, რომელმაც მოულოდნელად მიგვატოვა და ზეციურ საქართველოში დაიდო ბინა.

დასანანია, რომ ახლობლებს, სამეგობროს, სამეზობლოს აღარ გვყავს ქალბატონი ლენა.

რეანიმაციაში მისმა მოულოდნელმა მოხვედრამ შეგვძრა ყველა. დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი კითხულობდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. თითქოს მათმა ლოცვამ გადაარჩინა, სახლში დაბრუნებას ყველა ულოცავდა. სამწუხაროდ, ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა მისი გადარჩენის სიხარული.

ოჯახის, შვილების და შვილიშვილების სიკეთისათვის ლოცულობდა, მუხლჩაუხრელად შრომობდა და ბოლომდის ყველას უფრთხილდებოდა.

უკვდავების ფასი ძალიან დიდია. მან ეს შეძლო თავისი უანგარობით, შრომისმოყვარეობით, გარშემო მყოფთათვის კეთილგანწყობის მეშვეობით და ვალმოხდილი გაემგზავრა სასუფევლისკენ.

ნათელში ამყოფოს უფალმა ლენა შენი სული და დაგიმკვიდროს სასუფეველი. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ყვარლის მშობლიური მიწა.

ნათელა აფენდიშვილი, თინა მისრიაშვილი,
თამარი ტაკაშვილი.

შვილები: ნუნუ, გივი; შვილიშვილები: ნათია, ლადო, რეზიკო; და მზია, ძმა ოთარი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ლენა ხოტენაშვილი-ავაზაშვილისა.

კუჭატნის საჯარო სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ამავე სკოლის მასწავლებელს დიანა მიქაუტიძეს მამამთილის რომან ბულბულაშვილის გარდაცვალების გამო.

ენისლის საჯარო სკოლის პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე სკოლის ყოფილი პედაგოგის ბაბულია ტიღაშვილის გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებს ამავე სკოლის მასწავლებელს ლია ასანაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

რა სარგებელი და ზიანი მოაქვს გოგრას – ეს უნდა ვიცოდეთ!

გოგრა ჩვენში საკმაოდ გავრცელებული პროდუქტია. მისი უამრავი ჯიში არსებობს, მათ შორის შხამიანიც კი. გოგრა შეიძლება იყოს ნებისმიერი ზომის – ხელისგულისოდენიდან დაწყებული, გიგანტური, 100-კგ-იანი ნაყოფით დამთავრებული; შეიძლება ჰქონდეს მწვანე, ყვითელი, სალათისფერის, ნარინჯისფერი შეფერილობა.

გოგრა მიკროელემენტებითა და მინერალებით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი პროდუქტია.

აღსანიშნავია, რომ სარგებელი მოაქვს არა მხოლოდ გოგრის რბილობს, არამედ მის თესლსაც და, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ფოთოლსაც კი.

თუ გოგრას რეგულარულად გამოვიყენებთ საკვებად, ეს დიდად შეუწყობს ხელს თითქმის ყველა შინაგანი ორგანოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

გოგრა შეიცავს ისეთ მიკროელემენტებს, როგორიცაა კალიუმი, მაგნიუმი, კობალტი, თუთია და რკინა. ამას ემატება უამრავი ვიტამინი – A, E, C, D, F, PP, T, B.

გარდა ამისა, ეს ბოსტნეული დაბალკალორიულია, – 100 გრამ პროდუქტზე 22 კკალ. – რაც განსაკუთრებით საინტერესოს ხდის მას წონაში დაკლების მსურველთათვის. ამ პროდუქტში არის ასევე ბეტა-კაროტინი, ასკორბინის მჟავა, თიამინი, რიბოფლავინი და ბოჭკოვანა.

გოგრის სარგებელი

1. ვიტამინების არსებობა ხელს უწყობს მხედველობის გაუმჯობესებას და ზოგადად დადებითად მოქმედებს თვალზე.

2. გოგრა ძალიან სასარგებლოა საჭმლის მომნელებელი სისტემისთვის, რადგან აადვილებს „მძიმე“ საკვების მონელებას. ნოყიერი სადილის შემდეგ კარგი იქნება, თუ რამდენიმე ლუკმა გოგრას მიირთმევთ, რაც საგრძნობლად შეგიმსუბუქებთ მდგომარეობას და მოგიხსნით დისკომფორტს.

ეს პროდუქტი საინტერესოა იმითაც, რომ ხელს უწყობს ჭარბ წონასთან ბრძოლას. გოგრა დაბალკალორიულია, ადვილად გამოაქვს ორგანიზმიდან ზედმეტი სითხე, ასუფთავებს მას და ხელს უწყობს ზედმეტი წონის კლებას. გოგრის დიეტა საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს.

3. გოგრა ორგანიზმს ასუფთავებს შლაკებისგან და ზედმეტი ქოლესტერინისგან. ახდენს სისხლის წნევის ნორმალიზებას და აძლიერებს სისხლძარღვების კედლებს.

4. ეს ბოსტეული ორგანიზმში ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და სისხლის შედედების ოპტიმიზებას ახდენს.

5. შარდმდენი ეფექტის წყალობით (გოგრა 90%-ით წყლისგან შედგება) გოგრა ეხმარება შარდკენჭოვანი დაავადებების, თირკმლის უკმარისობისა და შარდის ბუშტის ანთების დროს. ამისათვის უმჯობესია იგი უმი სახით მივიღოთ.

6. გოგრას შეუძლია ნერვული სისტემის ნორმალიზება, განწყობის გამოკეთება, დეპრესიის დაძლევა, ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება. იგი ასევე გვეხმარება უძილობასთან ბრძოლაშიც.

7. C ვიტამინის არსებობის გამო გოგრა იმუნიტეტის ამაღლებას უწყობს ხელს – ადამიანები, რომლებიც მას რეგულარულად მიიღებენ, უკეთ ებრძვიან ვირუსებს და ნაკლებად ავადდებიან სეზონური დაავადებებით.

8. გოგრა ცნობილია ანთებსაწინააღმდეგო ეფექტით. ამ მიზნით იგი გამოიყენება როგორც საკვებად (ნაწლავში ანთებითი პროცესების ჩასაქრობად) ასევე კანზე დასადებად ჭრილობების, დამწვრობების, მუწუკებისა თუ გამონაყარის დროს. გოგრის რბილობი ხელს უწყობს ჭრილობის შეხორცებას.

9. ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც რაციონში ხშირად იყენებენ გოგრას, ნაკლებად ავადდებიან ტუბერკულოზითა და ყელის კიბოთი. თუმცა გოგრის ეს კონკრეტული სასარგებლო თვისება მედიკოსების ერთ ნაწილს მაინც საეჭვოდ მიაჩნია.

10. გოგრას გააჩნია ერთგვარი გამაახალგაზრდავებელი ეფექტიც. მას აქვს უჯრედების განახლების, ძვლის გამაგრებისა და მისი პროდუქტიულობის გაზრდის უნარი.

11. გოგრის ფაფა კარგია გულძმარვასთან საბრძოლველად.

12. გოგრის რეგულარული გამოყენება ამცირებს კარიესის, ღრძილებიდან და ცხვირიდან სისხლდენის საფრთხეს.

13. ეს ბოსტნეული სისხლში ჰემოგლობინის დონეს მატებს.

14. გოგრა დადებითად მოქმედებს მამაკაცის პოტენციაზე.

გოგრა ასევე აქტიურად გამოიყენება კოსმეტოლოგიაში.

დღეისთვის ძალიან პოპულარულია გოგრაზე დამზადებული ნიღბები, შამპუნები, კრემები, ლოსიონები, საპნები, ბალზამები და ა.შ.

გოგრის ნიღბებს აქვს უნიკალური თვისება სახეზე გააქროს მცირე და საგრძნობლად შეამციროს დიდი ნაოჭები.

გოგრის მაქსიმალური სარგებელი მიიღება მისი უმად მირთმევის შემთხვევაში.

უმ რბილობს იყენებენ სალათებში, ცივ საუზმეებსა და დესერტებში. სასარგებლოა ასევე თესლი, ახლადგამოწურული წვენი და გოგრის ზეთი. ამ უკანასკნელის შეძენა აფთიაქებშია შესაძლებელი.

თუმცა სასარგებლო თვისებების დიდი ნაწილი თერმული დამუშავებისასაც რჩება. საუკეთესო ვარიანტია, თუ შეწვავთ მას, მისაღებია ასევე მოხარშვა, კრემ-სუპების, დესერტების, სოუსების მომზადება.

ვინ უნდა მოერიდოს გოგრას?

პირველ რიგში, უმჯობესია არ მიირთვან ეს პროდუქტი მათ, ვისაც საჭმლის მომნელებელი სისტემის ისეთი პრობლემები აქვთ, რგორიცაა წყლული, გასტრიტი, ნაწლავის მიკროფლორის დარღვევა, ნაწლავური კოლიკები, დიარეა, კუჭის გაღიზიანება.

გოგრა უკუნაჩვენებია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. ზოგ ადამიანს, შესაძლოა ასევე გოგრის აუტანლობაც ჰქონდეს, რამაც შესაძლოა ალერგიული რეაქცია და მოწამვლა გამოიწვიოს.

როდიდან და როგორ მივცეთ გოგრა ბავშვს

გოგრის პიურეს მიცემა ბავშვისთვის შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატარა შეეჩვევა პირველი რიგის ბოსტნეულს, როგორიცაა ყაბაყი, ყვავილოვანი კომბოსტო, კარტოფილი, სტაფილო. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს გოგრის პიურე შეგვიძლია მივცეთ 5 თვის შემდეგ, ბუნებრივ კვებაზე მყოფებს კი – 6-7 თვიდან. თავიდან ვიწყებთ 0, 5 ჩ.კ.-ით და წლის ასაკში დღიური დოზა აგვყავს 200 გრამამდე. უმჯობესია თუ ბავშვს გოგრის პიურეს კვირაში 2-3 ჯერ მივცემთ. 7 თვის ასაკიდან შეიძლება ასევე გოგრის წვენი ან პიურე ფაფებშიც გავურიოთ. 8 თვიდან ბავშვს შეიძლება გოგრის სუპებიც შევთავაზოთ.

წლამდე ბავშვებისთვის გოგრა უმჯობესია ორთქლზე ან ცოტა რაოდენობით წყალში მოიხარშოს. გოგრა გაცილებით ნაკლებ ნახშირწყლებს შეიცავს, ვიდრე სხვა ბოსტნეული და ამიტომ განსაკუთრებით მისაღებია ჭარბი წონის მქონე ბავშვებისთვის.

intermedia.ge

მილოცვა

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს, ბატონ დავით ქევხიშვილს!

ბატონო დავით!

გილოცავთ დაბადების დღეს და თქვენი პატარა მარიამის დაბადებას. იხარეთ და იბედნიერეთ!

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს!

ბატონო როსტომ, გილოცავთ ქალიშვილის დაბადებას! გაგეზარდოთ ჯანმრთელი და სასახელო! ვუსურვებთ თქვენს პატარას და მის თაობას მრავალ წარმატებას და გამთლიანებულ, გაბრწყინებულ საქართველოში ბედნიერ ცხოვრებას!

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია

მიხეილ სამხარაულს!

ჩვენო საუკეთესო და უძვირფასესო მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, შვილებში და შვილიშვილებში გახარებას, იბედნიერე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ამ პატარა მილოცვით გვინდა სიყვარული და პატივისცემა გამოვხატოთ ქველმოქმედებისთვის, გვერდში დგომისთვის, იმ სიკეთეებისთვის, რომელსაც არა მარტო სამეგობროსთვის, არამედ უამრავი ადამიანისთვის არ იშურებ.

მეგობრების სახელით
ალექსანდრე გიგილოშვილი

„ილიაობა 2019“

8 ნოემბერს, „ილიაობა 2019“ ი.ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმსა და „ილიას ტბაზე“ მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა.

ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ილიაობის დღესასწაული საზეიმო პარაკლისით დაიწყო. ასევე, დღის განმავლობაში მუზეუმის ეზოსა და მარანში – ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი“,ზედაშეს ფესტივალის“ მონაწილეების დაჯილდოება, ი.ჭავჭავაძის სახელზე დაწურული ღვინის ქვევრის გახსნა, კონკურსი „მე ვხატავ ილიას“ (ბავშვების თვალით დანახული ილიას შემოქმედება) მიმდინარეობდა.

13:00 სთ-დან სადღესასწაულო ღონისძიებები „ილიას ტბაზე“ გაგრძელდა, სადაც ზეიმის მონაწილეებს შეეძლოთ ენახათ ადგილობრივი თემების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა ფაცხებში, სამენარმეო მარკეტების გამოფენა-გაყიდვა, ღვინის დეგუსტაცია,შევჯიბრი ქართულ ჭიდაობაში,ადგილობრივი და მოწვეული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი. საღამოს, აირჩიეს ყვარლის საპატიო მოქალაქეები.

ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

ა) მარიამ ფროდიაშვილს;
ბ) ვანო გიგილაშვილს,
გ) იზა ცირიკაშვილს;
დ) ზაზა ქარენაშვილს;
ე) იზა სიფრაშვილს;
ვ) ლევან მებზევიშვილს;
ზ) იუზა ჩუბინიძეს;
თ) ილუმენია თეკლა კანანაძეს;
ი) დეკანოზი ბადრი არჩუაძეს.

ილიაობა 2019 თბილისის მერიის ბიგ – ბენდის კონცერტით დასრულდა.

მთელი დღის განმავლობაში კოსტუმირებული მსახიობები ილიას ნაწარმოებების პერსონაჟებს განასახიერებდნენ.

ასეთ გრანდიოზულ მასშტაბებში, სიახლეებით გაჯერებული „ილიაობა“ ყვარლელებს არ ახსოვთ. დიდი მადლობა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს, უდიდესი წინაპრის ხსოვნისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისა და პატივგებისათვის.

რა უნდა იდოს 2020 წლის საახალწლო სუფრაზე და რისი გაკეთება არ შეიძლება

2020 წელი თეთრი ლითონის ვირთხის წელია. ეს არსება არა მარტო მოხერხებული და სწრაფი, საკმაოდ ცბიერიც არის. ის არასდროს ხდის საჯაროს საკუთარ სამომავლო გეგმებს. ვიღაცას ახალი 2020 წელი ძალიან რთულად მოეჩვენება, ვიღაცისთვის კი სამაგალითო ცხოვრებისეულ გამოცდილებად იქცევა. საუკეთესო პერიოდი იქნება ემოციების მართვის და სირთულეებთან შეჭიდების თვალსაზრისით. დაემშვიდობეთ ილუზიებს და იქეცით რეალისტად, გამოიყენეთ ეს პერიოდი და ისწავლეთ ახალ გარემოსთან და სიტუაციებთან ადაპტირება – ეს დევიზი 2020 წელს ნებისმიერ სფეროსა და სიტუაციაში აქტუალური იქნება.

უახლოესი 12 თვის განმავლობაში მართვის სადავეებს ხელში ვირთხა აიღებს.

ეს ლითონის ვირთხის წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვირთხას ჯავაშანიც საკმაოდ ძლიერი აქვს, მაშასადამე, სირთულეებს წარმატებით აისხლიტავს.

ამ ნიშნისთვის მთავარი შინაგანი მობილიზება და სიმშვიდეა. 2020 წელს ციფრები მეორდება, რაც აღნიშნული პერიოდის სირთულეს უსვამს ხაზს. ეს წელი ბევრისთვის იქნება ცოტა მისტიური, გაუგებარი, თუმცა უმჯობესია ამ უცნაურობებს გაგებით და შეგნებით მოვეკიდოთ. ამ წელს ბევრი ადამიანის ცხოვრება თავდაყირა დადგება, რაც გარკვეულწილად სტერეოტიპების მსხვრევასაც გამოიწვევს.

თეთრი ვირთხა ბუნებით ლიდერია, უყვარს პირველობა და ირგვლივ მყოფთა მორჩილება, მაგრამ თუ გონივრულად მოვიქცევით, სრულიად შესაძლებელი იქნება კატაკლიზმების თავიდან არიდება.

თეთრ ვირთხას კარგად აქვს განვითარებული ინტუიცია. თეთრი ფერი კი ინტელექტისა და სიბრძნის სიმბოლოა.

2020 წელი წარმატებული იქნება ფინანსური თვალსაზრისით. კარგი პერიოდია ფინანსების საქმეში, სხვადასხვა პროექტებში ჩასადებად. მოგება უკან პროცენტებით დაგიბრუნდებათ, უმნიშვნელო ხარჯებზე ფიქრი კი არ ღირს.

ხელსაყრელი პერიოდია ასვე უძრავი ქონების შესაძენად, სახლის ასაშენებლად ან სარემონტოდ.

არც კარიერული წინსვლისთვისაა ცუდი პერიოდი, გირჩევთ დასახოთ მიზნები და აქტიურად შეეცადოთ მათ განხორციელებას. ვირთხა არც ერთ შესაძლებლობას არ გაუშვებს ხელიდან.

როგორ შევხვდეთ 2020 წელს, თეთრი ვირთხა რომ არ გავანაწყენოთ?თეთრ ვირთხას უყვარს ღია ფერები, გემრიელი საჭმელი და სილამაზე. ახალი წლის ღამეს უპირატესობა თეთრს ან ნაცრისფერს მიანიჭეთ. შავი ფერის გამოყენებას თუ გადაწყვეტთ, ფრთხილად იყავით, რომ არ გადააჭარბოთ. სტილი უნდა

იყოს მოკრძალებული, ელეგანტური და დახვეწილი.

რაც შეეხება აქსესუარებს, შეგიძლიათ შეარჩიოთ ბრჭყვიალა, მოელვარე გულსაკიდი, საყურე ან თმის სამაგრი.

ლითონის ვირთხას მოსწონს ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ელვარებს.

ძალიან ეფექტური იქნება ვერცხლისფერი ან ოქროსფერი ფეხსაცმელი.

რაც შეეხება ინტერიერს და ნაძვის ხეს, აქაც შეარჩიეთ თბილი და ნაზი ტონები. ვირთხას უყვარს ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთა და ნატურალური, ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ.

მაგიდაზე უნდა იდოს ბევრი გემრიელი კერძი, არ დაგავიწყდეთ ყველი. სუფრა ღია ფერის შეარჩიეთ და მაგიდა ბროლითა და ვერცხლით გააწყვეთ.

რა არ უნდა გააკეთოთ ახალი წლის ღამეს?

- არ დარეცხოთ, ან დაამტვრიოთ ჭურჭელი;
- არ იჩხუბოთ, იკამათოთ სუფრასთან;
- ძალიან მცირე ოდენობის საჭმელი არ უნდა გქონდეთ სუფრაზე;
- არ გადაყაროთ დარჩენილი პროდუქტები;
- არ იყოთ მარტო ახალი წლის ღამეს;
- არ იფიქროთ ცუდზე და არ მოიწყინოთ.

სად, ვისთან ერთად უნდა შევხვდეთ 2020 წელს?ვირთხას უყვარს მხიარული და ლამაზი წვეულებები, ახალი ურთიერთობები, სადაც შესაძლებლობა მიეცმა საკუთარი კომუნიკაბელურობის აფიშირების. უყვარს ცეკვა და მოლხენა.

თუმცა ვირთხა თავქარიანი და ცანცარა როდია, ახალი წლის შესახვედრად ის არ აირჩევს ძვირფას რესტორანსა თუ ბარს, ის უპირატესობას ღამაზს, დახვეწილ, ელეგანტურ კოტეჯს ან სახლს მიანიჭებს.

ძალიან კარგი იქნება ახალი წლის აღნიშვნა კოლეგებთან ერთად კორპორატიულ წვეულებაზე, სადაც მეორე ნახევართან ერთად წაბრძანდებით.

intermedia.ge

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86